პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 274 (12188) | ორშაბათი, 4 დეკემბერი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა პრესის მაღალი მოწოდება

2 დეკემბრის მოწინავე

XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პროპაგანდაში, მასებზე პარტიის იდეური გავლენის გაღრმავებასა და გაფართოებაში დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ჩვენს პრესას, რადიოს, ტელევიზიას. ახლა მათს საქმიანობაში, ისევე როგორც მთელ იდეოლოგიურ მუშაობაში, წინა პლანზეა მშრომელთა შორის სკკპ ახალი პროგრამის — კომუნიზმის გამარჯვებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის დიადი გეგმის ღრმად განმარტების ამოცანა.

„ახალი პროგრამა, ამბობს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, — შესანიშნავი თეორიული და პოლიტიკური დოკუმენტია, რომელშიც თავმოყრილია მარქსისტულ-ლენინური თეორიის უმნიშვნელოვანესი დებულებანი კომუნიზმის შესახებ და ახალი დასკვნები, რომლებიც გამომდინარეობენ სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკაში ამ დებულებათა განხორციელების გამოცდილებიდან“.

საბჭოთა პრესა მოწოდებულია გააშუქოს სკკპ ახალი პროგრამის სიდიადე, შეიტანოს მასებში მისი იდეები — იდეები მარად ცოცხალი, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისა, რომელიც ვითარდება, დარაზმოს მასები ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, პარტიის პროგრამის შესასრულებლად. რაოდენ საპატიო საქმეა — ვიჩვენოთ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე კაცობრიობის გადასვლის ისტორიული გარღვევლობა, ფართოდ გავაშუქოთ იმ სახელოვანი გზის შედეგები, რომელიც საბჭოთა ხალხმა განვლო ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით, განვმარტოთ პროგრამით დასახული ამოცანები მრეწველობის, სოფლის მეურნეობის დარგში, სახელმწიფოს, მეცნიერების, კულტურის განვითარების დარგში, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კომუნისტური აღზრდის დარგში!

პრესის ფურცლებზე სკკპ ახალი პროგრამის პროპაგანდამ ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ თვითეულმა მშრომელმა მკაფიოდ დაინახოს და ღრმად შეიგნოს თავისი ადგილი კომუნიზმის მშენებელთა რიგებში, განიმტკიცოს დავალებული საქმისათვის დიდი პასუხისმგებლობით.

ეს გულისხმობს პროგრამის დებულებათა მკაფიო, ცოცხალ განმარტებას თანამედროვე სინამდვილის კონკრეტული ფაქტებით, ამა თუ იმ რესპუბლიკის, ოლქის, რაიონის, საწარმოს, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის პრაქტიკულ ამოცანებთან მჭიდრო, ურღვევ კავშირში.

უკანასკნელ ხანს „რადიანსკა უკრაინამ“, „სოვეტსკაია ბელორუსიამ“, „სოვეტსკაია ლატვია“, „ვოლგოგრადსკაია პრავდამ“, „პროკსკაია პრავდამ“ და სხვა გაზეთებმა გამოაქვეყნეს მთელი რიგი საინტერესო, შინაარსიანი მასალები, რომლებიც მიეძღვნა სკკპ პროგრამას. ეს არის პარტიული და სამეურნეო მუშაკების, პროპაგანდისტების, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა სტატიები. მკითხველთა დიდ ინტერესს იწვევენ სკკპ XXII ყრილობის დელეგატების სტატიები, ანგარიშები მშრომელთა წინაშე მათი გამოსვლების შესახებ. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი პროპაგანდისტული მუშაობისა, რომელიც უნდა შეასრულოს ჩვენმა პრესამ. სამწუხაროდ, ზოგიერთ გაზეთს ასეთი მუშაობა არსებითად ჯერ არ დაუწყია, დასჯერდა რამდენიმე ზოგადი, ნაკლებმეტყველი მასალების გამოქვეყნებას.

ამჟამად პოლიტიკური განათლების სისტემაში, აგრეთვე მშრომელთა ფართო წრეებში გაჩაღდა სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლა. პრესის დიდმნიშვნელოვანი საქმეა ღრმად ჩასწვდეს პოლიტსკოლების, წრეების, სემინარების მეცადინეობის შინაარსს, განაზოგადოს და გაავრცელოს საუკეთესო პროპაგანდისტთა და აგიტატორთა მუშაობის გამოცდილება. მოსაწონია გაზეთების „ლენინგრადსკაია პრავდას“, „ლუგანსკაია პრავდას“, „სოვეტსკი სახალინის“ და სხვა გაზეთების მაგალითი, რომლებმაც უკვე გამოაქვეყნეს მთელი რიგი ასეთი მასალები.

პარტია გვასწავლის, რომ იდეოლოგიური მუშაობა თვითმიზანი კი არ არის, არამედ კომუნისტური მშენებლობის ძირეული ამოცანების გადაჭრის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. კომუნიზმი რომ ავაშენოთ, საჭიროა ხალხის, თვითეული საბჭოთა ადამიანის უფრო მეტი შრომითი მეცადინეობა. ამ აზრით უნდა იყოს გამსჭვალული ჩვენი პრესის გამოსვლები, რომელიც მოწოდებულია დაეხმაროს პარტიას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის ბრძოლაში.

ჩვენი პრესის საპატიო მოვალეობაა დროულად შეამჩნიოს და პროპაგანდა გაუწიოს ყოველივე ახალს, მოწინავეს, რასაც მასების შემოქმედებითი ინიციატივა წარმოშობს, მხარი დაუჭიროს, როგორც ვ. ი. ლენინი წერდა, „ნამდვილი კომუნიზმის ცოცხალ ულორტებს“. საჭიროა ყოველდღე გავაშუქოთ საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, განვავითაროთ სახელოვანი მოძრაობა კომუნისტური შრომისათვის, გამოვავლინოთ წარმოების ნოვატორთა — ჩვენი შუქურების გამოცდილება, რომლებიც წინსვლის გზას სახავენ.

პრესის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს 1961 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებას, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის რეზერვების გამოყენებას, რომლებსაც ავლენენ სოფლის მეურნეობის მუშაკთა ზონალურ თათბირებზე. პრესა ვალდებულია შეურიგებლად ებრძოლოს ნაკლოვანებებს, მოდუნებას, ინერტულობას, გაბედულად გაკრიტიკოს მუშაები, რომლებიც არღვევენ პარტიულ და სახელმწიფო დისციპლინას, იგნორებენ თავიანთ მოვალეობას საზოგადოების წინაშე, ხალხის წინაშე.

პარტიის წინასაყრილობო დოკუმენტების საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს ჩვენმა პრესამ კიდევ უფრო გაფართოოს და განამტკიცა კავშირი მასებთან. გაზეთების, ჟურნალების, რადიოსა და ტელევიზიის რედაქციები მაშინ ასეულ ათასობით წერილსა და სტატიას იღებდნენ. მნიშვნელოვნად შეიცვალა პრესის ავტორთა აქტივი, შემუშავდა ახალი თემები მისი გამოსვლებისათვის. ახლა საჭიროა უნარიანად გამოვიყენოთ ყოველივე ეს ჩვენი ეროვნულ-საერთაშორისო შინაარსის შემდგომი გაუჯობესებისათვის, ბეჭდვითი სიტყვის ქმედითობის ამაღლებისათვის. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ბეჭითად დავნერგოთ საზოგადოებრივი საწყისები პრესის მუშაობაში, განვავითაროთ მუშა და სოფლის კორესპონდენტების მოძრაობა, გავააქტიუროთ მუშა კორესპონდენტების საგუშაგოების საქმიანობა. შვიდწლედის გადამწყვეტ მშენებლობებზე. ამას წინათ ძვირფასი თაოსნობა გამოიჩინეს ზაპოროჟიე ლენინის ორდენოსანი ფოლადის ქარხნის მუშა კორესპონდენტებმა, რომლებმაც „რაბოჩაია გაზეტას“ საშუალებით მიმართეს უკრაინის ყველა მუშა კორესპონდენტს მოწოდებით მოაწყონ მასობრივი რეიდი-შემოწმება, თუ როგორ იყენებენ სოციალისტური ეკონომიკის რეზერვებს. ტექნიკური პროგრესის პრობლემებისადმი მიძღვნილი რეიდი როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენებლო ქარხნის პრესის აქტივისტების თაოსნობით დაიწყეს როსტოვის ოლქის მუშა კორესპონდენტებმა.

იმისათვის, რომ ღრმად და მკაფიოდ გაუწიოს პროპაგანდა სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებს, აქტიურად დაეხმაროს პარტიას ამ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის საბრძოლველად მშრომელთა მობილიზაციაში, ჩვენმა პრესამ უფრო მეტი ინიციატივა უნდა გამოიჩინოს, უფრო მრავალფეროვანი უნდა გახადოს თავისი გამოსვლების ყანრები, გააძლიეროს მათი პუბლიცისტურობა. ფართოდ უნდა მოვიზიდოთ პრესაში თანამშრომლობისათვის ავტორთა აქტივი — წარმოების ნოვატორები, სპეციალისტები, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

ჩვენი პრესის მუშაკები, საბჭოთა ჟურნალისტები, სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, როგორც ეს ლენინური პარტიის თანაშემწეებს შეეფერებათ, აქტიურად მონაწილეობენ კომუნიზმის გამარჯვებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

სურათზე: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი მ. ვ. კელდიში ესაუბრება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს ე. ლ. ანდრონიკაშვილს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

შენთვის, სამშობლოვ! შენთვის, პარტია!

ახალციხე. (საპ. კორ.). მშობლიური პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული ახალციხის № 4 შახტის სამთოელები წარმატებით იჩრდილავენ „შავი ოქროს“ მოკოვეგიისათვის. მათ 20 ნოემბრისათვის შეასრულეს სათბობის ამოღების 11 თვის დავალება და სამშობლოს ბუბმის გადამტანებით მისცეს 2.800 ტონა ქვანახშირი, 54 კაპიტის ფენიდან ტონა ქვანახშირის თვითდირებულება. საგრძნობლად გაზარდეს შრომის ნაყოფიერება.

შრომაში თავი ისახელა № 2 სპეციალურ-ტექნიკურ უბნის კოლექტივმა (უფროსი ე. ფოფხაძე), რომელიც სათბობის ამოღების სადღეგამოსა დავალებას 110-115 პროცენტით ასრულებს. სასახელოდ შრომობენ მნიშვნელები: ზ. ბაჩიჩილაძე, ვ. როხმანაძე, გ. ბელაშვილი, პ. ზარიძის გამაყვანთა ბრიგადა და სხვები.

ზუგდიდი. („კომუნისტის“ კორ.). ხორცისა და რძის მრეწველობის კომბინატის კოლექტივმა (დირექტორი ა. ქვარცხავა) თავდადებული შრომით თერმეტი თვის განმავლობაში 21 ნოემბრისათვის შეასრულა. გეგმით გათვალისწინებული 254 ათასი მანეთის ნაცვლად გამოშვებულია 304 ათასი მანეთის პროდუქცია. შრომის ნაყოფიერება განვლილ პერიოდში ამაღლდა 7 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 4 პროცენტით. ყოველივე ამის შედეგად წარმოებამ თავი დააღწია ზარალს და ზეგეგმითი დაგროვება მიიღო.

ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი ინდოეთში

ინდოეთის პრეზიდენტმა დოქტორმა რაჯენდრა პრასადმა 1960 წლის ზაფხულში საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი მიწვია ინდოეთში სახელმწიფო ვიზიტად მისთვის მოსახერხებელ დროს.

ლ. ი. ბრეჟნევმა მადლობით მიიღო ეს მიწვევა. ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი ინდოეთში გაიმართება 1961 წლის დეკემბრის მეორე ნახევარში.

მეცნიერება — ხალხის მსახური

მუშაობა დაამთავრა ოთხი მეცნიერებათა აკადემიის სესიამ

საგან. მაშინ, როცა თანამედროვე ავიატორული სასუქები ახსნება რამდენიმე საათის განმავლობაში, პოლიმერული სასუქები მოქმედებენ კვირებისა და თვეების განმავლობაში. სხვა სახეობის პოლიმერული სასუქებია კალიუმისა და ამონიუმის პოლიმეტაფოსფატები. აგრონომიული ცდებმა უკვე დაამტკიცეს მათი დიდი ეფექტიანობა და ეკონომიურობა.

ახალი სინთეზური მასალების შექმნის საინტერესო ძიების, ქიმიური მრეწველობის ტექნოლოგიის გაუმჯობესების სამუშაოთა შესახებ გააკეთეს მოხსენებები აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ი. გ. მამედალიევმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა გ. ვ. ციცაშვილმა და რ. ი. აგლაძემ, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. ტ. ტარიანმა და სხვებმა.

ანტროფიზიკის სექციაში სამი მოხსენება წარმოადგინეს ქართველმა მეცნიერებმა — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. კ. ხარაძემ, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატებმა რ. ა. ბართაიამ, მ. ვ. დოლიძემ, რ. ი. კილაძემ. ერთი მოხსენება გააკეთა სომეხმა მეცნიერმა პროფესორმა გ. ა. გურზადიანმა.

საინტერესოდ მიმდინარეობდა გეოლოგიის, გეოგრაფიისა და გეოფიზიკის სექციების მუშაობა. აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა შ. ა. აზიზბეგოვმა და მ. ა. კაშკაიმ, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ი. გ. მაგალიანმა, გეოლოგიო-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ტ. ვ. ივანიცკიმ წარმოადგინეს მოხსენებანი, რომლებიც შეიცავენ ძვირფას დასკვნებს კავკასიის გეოლოგიური აღნაგობის, სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების შესახებ, რომლებითაც მდიდარია ამ მხარის სხვადასხვა რაიონის წიაღი.

უხუცესი ქართველი მეცნიერის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ა. ხ. ჯავახიშვილის მოხსენებით საქართველოს ბუნებრივი ლანდშაფტების შესახებ გაიხსნა გეოგრაფიისა და გეოფიზიკის სექციის მეორე სხდომა. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. ვ. ბუხნიკაშვილმა გააკეთა მოხსენება „გეოფიზიკის მეცნიერება საბჭოთა საქართველოში 40 წლის მანძილზე“.

ამ სექციაში მოსმენილი თორმეტივე მეცნიერული ინფორმაციის დამახასიათებელი ნიშანია მათი დიდი სახალხოსამეურნეო მნიშვნელობა.

ჩავწვდეთ ცოცხალი ბუნების საიდუმლოებას, გავხადოთ ადამიანთა სიცოცხლე ხანგრძლივი, დავამარცხოთ ყველაზე გავრცელებული ავადმყოფობანი — ამ კეთილშობილურ თემას მიეძღვნა მოხსენებები, რომლებიც ბიოლოგიისა და მედიცინის სექციებში წარმოადგინეს აკადემიკოსმა ვ. ი. ენგელგარდტმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა კ. ფ. ერისთავმა, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ლ. მხეოიანმა, აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ი. კარავაევმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებმა პ. მ. სარაჯიშვილმა, ნ. ა. ჯავახიშვილმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორებმა გ. ს. გვიშიანმა, ი. ვ. ჯავახიშვილმა და სხვებმა.

პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი დიდი სტიმული გახდა მეცნიერული აზროვნების განვითარებისათვის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში. ისტორიის, ფილოსოფიისა და სამართლის სექციებში გრძელდებოდა მოხსენებათა განხილვა საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომ აღმავლობასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკის აქტუალურ პრობლემებზე.

ყურადღებით იქნა მოსმენილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პ. ვ. გუგუშვილისა და ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის ა. ა. ნადიროვის მოხსენებები.

ამვიათი არქეოლოგიური აღმოჩენა გააცნო შეკრებილთ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. გ. ხოშტარიამ. არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი დიდი მასალის საფუძველზე მეცნიერმა დაადგინეს, რომ მორეულ წარსულში პატარა ქართული ქალაქი ვანი უძველესი კოლხეთის დიდმნიშვნელოვანი კულტურული და სავაჭრო ცენტრი ყოფილა.

კვლავ მრავალრიცხოვანი აუდიტორია შეკრიბა ენისა და ლიტერატურის სექციამ, რომელიც მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომების დარბაზში. ლიტერატურათმცოდნეობა და ენათმეცნიერება ისეთი მენციერებანია, რომლებიც ერთი შეხედვით დაშორებულია კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პირდაპირ პრაქტიკულ ამოცანებს, — განაცხადა აკადემიკოსმა ვ. ვ. ვინოგრადოვმა. და მიუხედავად ამისა ისინი უდიდეს როლს ასრულებენ მომავლის ადამიანის მსოფლმხედველობისა და მისი სიტყვიერი გამოხატულების სამუალებათა ფორმირებაში, რითაც აქტიურად უწყობენ ხელს კომუნიზმის მშენებლობას.

ყველა სექციაში დიდი შემოქმედებითი საუბარი იყო ჩვენი მეცნიერების ყოველდღიურობაზე, საბჭოთა მეცნიერების მიღწევებზე და ახალ, იდეებ უფრო ასუფსაგებ ამოცანებზე, მოსმენილ მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა მ. ვ. კელდიშმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ნ. ი. მუსხელიშვილი, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ვ. ა. ამბარცუმიანმა, აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ა. ბ. ალიევმა, ბელორუსიის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ნ. ნ. ბოგოლიუბოვმა, ლიტვის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ი. ბ. ბანევიჩიუსმა, ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ა. ა. ბალოდისმა, ესტონეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ა. ა. ალანენმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორებმა ბ. ბ. ბეგეკოვმა, ბ. ბ. ბეგეკოვმა, ბ. ბ. ბერიტაშვილმა, ნ. ნ. ბეჟუმამ, ვ. ვ. ვინოგრადოვმა, ს. ი. ვოლოფკოვიჩმა, ს. ა. ლებედევმა, ა. ი. ოპარინმა, ლ. ი. სედოვმა, ნ. მ. სისაკიანმა, ვ. ა. ენგელგარდტმა და სხვებმა.

2 დეკემბერს გაერთიანებული სამეცნიერო სესიის სექციებმა მუშაობა დაამთავრეს. 3 დეკემბერს სესიის მონაწილენი ეცნობოდნენ საქართველოს წარმყვან სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა საქმიანობას.

სესიის მონაწილეები გაეცნენ აგრეთვე მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებსა და კულტურულ დაწესებულებებს. ბევრი მათგანი იყო ამერიკაკავასიის მეტალურგიულ ქარხანაში, თბილისის შაპანენური ღვინოების ქარხანაში. მოეწყო ექსკურსიები საქართველოს უძველეს დედაქალაქ მცხეთაში, საქართველოს სამხედრო გზაზე, მუხუზუმებში, კოლექტიურად დაესწრნენ ბალეტ „დენონს“, ნახეს თბილისის თეატრების სხვა დადგმები.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს მ. ვ. კელდიშს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილს, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს ვ. ა. ამბარცუმიანს, აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს მ. ვ. კელდიშის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ ნ. ი. მუსხელიშვილის, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ ვ. ა. ამბარცუმიანის, აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ ა. ბ. ალიევის, ბელორუსიის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტ ნ. ნ. ბოგოლიუბოვის, ლიტვის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტ ი. ბ. ბანევიჩიუსის, ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტ ა. ა. ბალოდისის, ესტონეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტ ა. ა. ალანენის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორ ბ. ბ. ბეგეკოვის, ბ. ბ. ბეგეკოვის, ბ. ბ. ბერიტაშვილის, ნ. ნ. ბეჟუმის, ვ. ვ. ვინოგრადოვის, ს. ი. ვოლოფკოვიჩის, ს. ა. ლებედევის, ა. ი. ოპარინის, ლ. ი. სედოვის, ნ. მ. სისაკიანის, ვ. ა. ენგელგარდტის და სხვებმა.

2 დეკემბერს გაერთიანებული სამეცნიერო სესიის სექციებმა მუშაობა დაამთავრეს. 3 დეკემბერს სესიის მონაწილენი ეცნობოდნენ საქართველოს წარმყვან სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა საქმიანობას.

სესიის მონაწილეები გაეცნენ აგრეთვე მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებსა და კულტურულ დაწესებულებებს. ბევრი მათგანი იყო ამერიკაკავასიის მეტალურგიულ ქარხანაში, თბილისის შაპანენური ღვინოების ქარხანაში. მოეწყო ექსკურსიები საქართველოს უძველეს დედაქალაქ მცხეთაში, საქართველოს სამხედრო გზაზე, მუზეუმებში, კოლექტიურად დაესწრნენ ბალეტ „დენონს“, ნახეს თბილისის თეატრების სხვა დადგმები.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს მ. ვ. კელდიშს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილს, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს ვ. ა. ამბარცუმიანს, აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ ა. ბ. ალიევს, ბელორუსიის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტ ნ. ნ. ბოგოლიუბოვს, ლიტვის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტ ი. ბ. ბანევიჩიუსს, ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტ ა. ა. ბალოდისს, ესტონეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტ ა. ა. ალანენს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორ ბ. ბ. ბეგეკოვს, ბ. ბ. ბეგეკოვს, ბ. ბ. ბერიტაშვილს, ნ. ნ. ბეჟუმს, ვ. ვ. ვინოგრადოვს, ს. ი. ვოლოფკოვიჩს, ს. ა. ლებედევს, ა. ი. ოპარინს, ლ. ი. სედოვს, ნ. მ. სისაკიანს, ვ. ა. ენგელგარდტს და სხვებს.

2 დეკემბერს გაერთიანებული სამეცნიერო სესიის სექციებმა მუშაობა დაამთავრეს. 3 დეკემბერს სესიის მონაწილენი ეცნობოდნენ საქართველოს წარმყვან

კონსტიტუციის დღის აღსანიშნავად

საქართველოს მშრომელნი ფართოდ აღნიშნავენ საბჭოთა კონსტიტუციის დღეს. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში ეწყობა ლექციები, მოხსენებანი, საუბრები.

ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის, № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის, კერამიკის კომბინატის, ავჭალის მერძევეობა-მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელნი აწყობენ შეხვედრებს საბჭოების VIII საგანგებო ყრილობის დელეგატებთან, რომელმაც დაამტკიცა საბჭოთა სახელმწიფოს დიდი ქარტია.

დიდძალი ხალხია ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტში, სადაც გაიხსნა ლიტერატურის დიდი გამოფენა თემაზე: „საბჭოთა კონსტიტუციის დღე“.

მუქურების უნივერსიტეტი

საუბარი პირველი

გაზეთმა „კომუნისტმა“ თავის ფურცლებზე შექმნა შუქურების უნივერსიტეტი.

უნივერსიტეტის მიზანია ამრავლოს შუქურები, ყველას საკუთრება გახადოს მოწინავეთა გამოცდილება, რაც მნიშვნელოვანი პირობაა პარტიის XXII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის.

შუქურების უნივერსიტეტში ითანამშრომლებენ შუქურები, ნოვატორები, მოწინავე ადამიანები სახალხო მეურნეობის ყველა დარგიდან, ხელმძღვანელი მუშაკები, მეცნიერები, ჟურნალისტები, მწერლები.

არიან ადამიანები, რომლებსაც შორეული გზები არ აშინებთ, თუ ეს საერთო საქმისათვის სასარგებლო და შედეგიანია. ამ გზებზე გვხვდებიან ჩვენი დროის შესანიშნავი გმირები, რომელთა სახელები მრავლდება და მრავლდება: ერთეულები ათეულებს წარმოქმნიან, ათეულები — ასეულებს, და ასე გაბედულად იწრთობიან შრომითი საქმიანობისათვის. მათ შრომა ექცევათ საარსებო მოთხოვნილებად და ამის შედეგად იქმნება ხვავი და ბარაქა.

ეს იყო ნამდვილი მიზეზი, როცა ლაგოდეხელმა სოციალისტური შრომის გმირმა, სოფელ შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ იოსებ ჩირინაშვილმა და დელეგაციის წევრებმა თებერვლის სუსხიან დღეებში, ზვიმასა თუ თოვლში გაკვალეს გზა ლაგოდეხიდან შორეულ, მომძე ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ ლესკენის რაიონის სოფელ არგუდანისაკენ.

აქ ეგულებოდათ კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ყამბულათ ტარჩაკოვი — ეს შესანიშნავი ადამიანი, საკოლმეურნეო წარმოების გამოჩენილი ორგანიზატორი, რომელსაც დიდი გამოცდილება აქვს ყველა კულტურის და, კერძოდ, სიმინდის მოსავლიანობის გადიდების საქმეში..

მკითხველებს როდი მოსწყინდებათ მოძმე მეგობარ ყაბარდო-ბალყარელთა წარმატებებზე საუბარი. მათს წარსულ წარმატებებზე, გამოცდილებაზე მიმდინარე წლის 10 მარტის „კომუნისტში“ იყო მოთხრობილი, ხოლო წლევანდელ საქმიანობაზე და თუ როგორ შეასრულეს ლაგოდეხელებმა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი, ცოტა გვიან, ალბათ ახალი წლის მიჯნაზე გვექნება საუბარი.

ამჯერად კი გაგეცნოთ ლაგოდეხელთა შრომის შედეგებს, როგორ გამოიყურებიან ისინი არგუდანელი სტუმრების საპასუხო ვიზიტით ჩამოსვლის მოლოდინში...

როგორია სოფელ შრომის საცდელ-საჩვენებელი კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ პირველი ნაბიჯები და შედეგები?

ეს კითხვები არ გაკკვირვებია კოლმეურნეობის თავმჯდომარეს იოსებ ჩირინაშვილს, თუმცა ერთგვარი ჩაფიქრებაც გამოიწვია.

— ნამდვილად სწორია, ჯერი ჩვენზეა, — თქვა თავმჯდომარემ.

— დიახ! შეჯიბრების ინიციატორები თქვენა ხართ და სჯობს პირველად შემოწმება აქედან დავიწყოთ! — ვუთხარით ჩვენ და, თავმჯდომარემ ანგარიშწარმოების მუშაკებიც აამოძრავა...

თვითონაც მოიმარჯვა და გადაშალა ბლოკნოტში გაკეთებული გაანგარიშებანი. პარტიბიუროს მდივანმა, აგრონომმა ნესტორ რაზმაძემაც მოიმარჯვა ოქმში ჩანაწერები და მოსსენებითი ბარათები..

არის, ნამდვილად არის! — ჩუმად ამბობდა თავმჯდომარე.

— როგორ არა, აი წარმატებათა მაჩვენებლები — დაუმატა ნესტორმა.

მან მოვიშველიოთ ზოგიერთი ფაქტები:

ამ კოლმეურნეობას რაიონში მოწინავეთა შორის ასახელებენ და ამჯერად იგი, როგორც საცდელ-საჩვენებელი კოლმეურნეობა, ყველაზე მოწინავე, მაგალითის მაჩვენებელი უდა გახდეს.

კოლმეურნეობას მუდმივ სარგებლობაში აქვს 2.740 ჰექტარი მიწა. აქედან სასოფლო-სამეურნეო სავარგულები — 1.798 ჰექტარამდე. სახნავ-სათეს ფართობს კი 1.300 ჰექტარზე მეტი უჭირავს. აღსანიშნავია, რომ კოლმეურნეობაში ფართოდ არის დანერგული ნიადაგის რწყვა. ამან განაპირობა ზოგიერთი მნიშვნელოვანი წარმატება. ამჟამად ირწყვება რვაას ჰექტარზე მეტი.

როცა ლაგოდეხელები შეჯიბრებაში ჩაებნენ არგუდანელებთან, მთავარ ამოცანად დაისახეს სიმინდის მოსავლიანობის გადიდება. პირობა დადეს დაეთესათ 300 ჰექტარი სიმინდი. აქედან 100 ჰექტარი მექანიზებულად დაემუშავებინათ და საშუალოდ ჰექტარზე მიეღოთ 65 ცენტნერი სიმინდი მარცვლად, ნაწვერალზე 300 ჰექტარი ფართობიდან საშუალოდ ჰექტარზე 500 ცენტნერი მწვანე მასა მიეღოთ. სახელმწიფოსათვის მიეყიდათ 85 ტონა ხორცი, 167 ტონა რძე, 43.000 ცალი კვერცხი, 2 ტონა მატყლი. ასევე გადიდებული ვალდებულებანი ჰქონდათ ნაკისრი თამბაქოს, ეთერზეთოვანი კულტურებისა და სხვა დარგების განვითარებაში.

ამ დიდი დასაწყისის წარმატებისათვის ლაგოდეხელებმა თადარიგი გაუჩინეს — დანვე დაიჭირეს. მინდვრად აგუგუნდნენ ტრაქტორები, სათესი მანქანები. კოლმეურნეები და სპეციალისტები შეუდგნენ ლაშქრობას უხვი მოსავლისათვის.

ბუნებამ კი ერთგვარად გზა გადაუღობა ადამიანებს. იავდრა გაზაფხულზე. ზაფხულში კი სამინერალო გვალვები დაატყდა თავს საგულდაგულოდ მოვლილ, დამუშავებულ მინდორ-ველებს. მშრომელ კოლმეურნეებს ფარხმალი არ დაუყრიათ. ბუნების კაპრიზებს წინააღმდეგობა გაუწიეს და აქაც დაამტკიცეს, რომ ადამიანებს შეუძლიათ ბუნებას, მიწას წაართვან იმის მაქსიმუმი, რისი მოცემაც მას შეუძლია.

ასეც მოხდ

ყველა საბჭოთა მეურნეობა — სანიმუშო, რენტაბელური

საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციების მდივანთა კურს-სემინარებზე

თავდადებით და დაძაბულად მუშაობენ ახლა სოფლის მეურნეობის მშრომელები. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ავლენენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდის რეზერვებს, სახავენ ჩვენი მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მძლავრი განვითარების მიჯნებს, მიმდინარეობს საქმიანი მზადება იმისათვის, რომ მიეღოთ უხვი მოსავალი, ვაწარმოოთ მეტი ხორცი, რძე და სხვა პროდუქტები.

ამ ამოცანების გადაჭრისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით დიდი და პასუხსაგები სოფლის პარტიული ორგანიზაციების როლი. ამიტომ ბუნებრივია, რომ საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები უდიდესი ინტერესით მეცადინეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწყობილ კურს-სემინარებზე, რომელიც მიეძღვნა სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების შესწავლას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების პრაქტიკულ საკითხებს, რომლებიც ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობენ.

მეცადინეობა რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების 10 დღის კურს-სემინარებზე დამთავრდა. მუშაობა დაიწყო ასევეშავე კურს-სემინარებმა კოლმეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის.

ლექციებს პარტიულ-პოლიტიკურ, ეკონომიურ, საწარმოო თემებზე კითხულობენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები, მეცნიერები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

პარტიის ახალი პროგრამა — თანამედროვეობის დიადი პოლიტიკური და თეორიული დოკუმენტი და სკკპ ახალი წესდება — ასეთია დოცენტების ი. ნაჭყებიას, ხ. ლარცულიანის, ი. ლალაშვილის, რ. წულეკიძის, ა. მირცხულავას ლექციების თემა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ ამხ. შ. ჭანფყვაძემ წაიკითხა ლექცია საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციების შუამბის ფორმებისა და მეთოდების შესახებ, რომელთა მიზნია „სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდება. სოფლის პარტიული ორგანიზაციების ამოცანებზე სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით ილაპარაკა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრმა პროფესორმა ბ. იაკობაშვილმა. მოისმინეს ლექციები პროფესორ ს. ერქომაიშვილისა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების მთავარი რეზერვების შესახებ, დოცენტ დ. ცხომარიასი — სიმინდის მოსავლიანობის გადიდების ძირითად ღონისძიებათა შესახებ, დოცენტ ხ. ჭუმბურიძისა — საკვიზე საქმის ორგანიზაცია, სოფლის მეურნეობის ცხოველების ხელოვნური დათესლეა და მსგავსფერა რნაინი პირუტყვის დაუბმელად მოვლა-შენახვა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის გ. ბადრიაშვილისა — მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების დანერგვა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, დოცენტ დ. ბერუჩაშვილისა — სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და კვების პროდუქტების წარმოების თვითღირებულების შემცირების გზები.

ბირველადს პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული მეურნეობის წარმოების საკითხებს მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაკების ამხ. ვ. ივანაშვილისა და ამხ. გ. ტატიშვილის ლექციები.

კურს-სემინარების მონაწილეებმა მოისმინეს ლექციები ჩაის, ყურძნის, ხილის, ბოსტნეულისა და სხვა კულტურების წარმოების შესახებ. ლექციები წაიკითხეს პროფესორმა გ. კვაჭაძემ, დოცენტებმა ეფრემთანელ, ე. სვანაძემ და სხვებმა.

თეორიულ მეცადინეობაზე მიღებულ ცოდნას განამტკიცებდა მოწინავე მეურნეობათა და წარმოების ნოვატორთა მუშაობის პრაქტიკის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის შრომატევად პროცესთა მექანიზაციის, ახალი ტექნიკის გაცნობა.

სამგორის მეფრინველეობის სანაშენო საბჭოთა მეურნეობაში კურს-სემინარების მსმენელებს უამბეს, როგორ იბრძვის რესპუბლიკის ამ მოწინავე მეურნეობის კოლექტივი ფრინველის სულადობის გადიდების, მისი პროდუქტიულობის ზრდის, ბორცის, კვერცხის თვითღირებულების შემცირების დასახული პროგრამის შესრულებისათვის.

ცოცხლად ჩაიარა საწარმოო ექსკურსიამ მუხროვანის სარძეო საბჭოთა მეურნეობაში.

დიდი რეზონანსი ჰქონდა ინფორმაციას, რომელიც გამოცდილების ურთიერთგადაზიარების წესით გაეკეთა მარტყოფის საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა გ. სუხიტაშვილმა საბჭოთა მეურნეობის სამეურნეო საქმიანობის კონტროლის შესახებ.

თუ რაოდენ ნაყოფიერი იყო კურს-სემინარები, ამაზე ლაპარაკობენ მისი მონაწილენი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწყობილი 10 დღის კურს-სემინარები დიდი და სასარგებლო საქმეა, — აღნიშნა მუკუზნის საცდელ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ვ. როსტომაშვილმა. კურსებმა გაამდიდრა ჩემი ცოდნა, გამოცდილება. იგი დაგვეხმარა კიდევ უფრო ღრმად ჩავწვდომოდით პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებსა და მასალებს.

სამტრედიის რაიონის ბაშის მერძეველობა-მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ბირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა გ. კაშიამ თქვა, რომ კურს-სემინარებზე მან ბევრი რამ ძვირფასი შეიძინა თავის საბჭოთა მეურნეობაში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გასაუმჯობესებლად.

გამოცდილებანი გაუზიარეს დამსწრეთ ჯურსების მსმენელებმა: ძველი სენაკის საცდელ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ბ. გაბუნიამ, სამგორის მეფრინველეობის სანაშენე საბჭოთა მეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ა. ახალდიანმა, გაგრის მერძეველობა-მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ნ. გორგაშმა და სხვებმა.

კურს-სემინარებზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. პ. მეჟავანაძე.**

სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების, კომუნიზმის აშენების დიდებული პროგრამის შესრულების აუცილებელი პირობაა. — თქვა ამხ. მეჟავანაძემ, — ის, რომ მძლავრ მრეწველობასთან ერთად შეექმნათ ყოველმხრივ განვითარებული და დიდმწარმოებლური სოფლის მეურნეობა, რომელიც უზრუნველყოფს კვების პროდუქტების სიუხვეს. ამ ამოცანის გადაჭრაში დიდნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის საბჭოთა მეურნეობებს — სოციალისტურ საწარმოებს სოფლად.

წლითიწლობით იზრდება საბჭოთა მეურნეობების მნიშვნელობა ჩვენი სოფლის მეურნეობის აყვავებაში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ სოფლის მშრომელთა სურვილების შესაბამისად ამ ბოლო დროს ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობების ბაზაზე შექმნეს 20 საბჭოთა მეურნეობა. ახლა რესპუბლიკაში 186 საბჭოთა მეურნეობაა. მათი ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო დამზადებებში არც თუ მცირეა. საბჭოთა მეურნეობები იძლევიან მთელი იმ ბოსტნეულის 56,6 პროცენტს, რომელსაც სახელმწიფო ყიდულობს, კარტოფილის 54 პროცენტს, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის 20,3 პროცენტს, ხილის 17,6 პროცენტს, ყურძნის 16,9 პროცენტს, მარცვლის 18 პროცენტს.

სახელმწიფო — განაგრძობს ამხ. მეჟავანაძე, — დიდ დახმარებას უწევს საბჭოთა მეურნეობებს მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებასა და განმტკიცებაში. იქ იგზავნებიან გამოცდილი ხელმძღვანელები, სოფლის მეურნეობის კარგი სპეციალისტები. ჩვენს საბჭოთა მეურნეობებში მუშაობენ მასობრივი კვალიფიკაციის შესანიშნავი კადრები. მათ შორის ბევრია წარმოების ნოვატორი.

ჩვენ მოვითათბირეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში და, ალბათ, როგორც სამართლიანად აღნიშნა ამხანაგმა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა ყაზახეთის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე წარმოთქმულ სიტყვაში, გავამარტივებთ საბჭოთა მეურნეობების მართვა-კეგმების სისტემას, გავაუქმებთ საბჭოთა მეურნეობების ტრესტებს. ამრიგად, ჩვენ გვექნება შესაძლებლობა კიდევ უფრო განვამტკიცოთ საბჭოთა მეურნეობები კადრებით. იქ ისინი, ეჭვი არ არის, მეტ სარგებლობას მოიტანენ მატერიალურ ფასეულობათა შექმნის საქმეს.

ამხ. მეჟავანაძე ამბობს, რომ ყველა საბჭოთა მეურნეობა უნდა გახდეს ჩაის, ყურძნის, ხილის, ბოსტნეულის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების რენტაბელური და სანიმუშო ფაბრიკები, ყოველი ღონისძიებით უნდა გახვავითაროთ მეთესლეობა და ჯიშთა სანაშენო საქმე. საბჭოთა მეურნეობები კოლმეურნეობებისათვის უნდა წარმოადგენდნენ პროდუქციის წარმოების თანამედროვე, მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევებზე დაფუძნებული მეთოდების ნიმუშს. ისინი უნდა იძლეოდნენ მაღალი ხარისხისა და იაფ პროდუქტებს.

საკითხია ავამაღლოთ საბჭოთა მეურნეობების როლი სურსათით ქალაქის მოსახლეობის მომარაგებაში. სამგორისა და მარნეულის საბჭოთა მეურნეობები, კეთილდღეობა, მოწოდებული ანრად ეზრუნველყონ თბილისისა და რუსთავის მოსახლეობა რძით, ხორცით, ბოსტნეულით, ხილით. საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც კურორტების ზონებში მდებარეობენ, სურსათით უნდა ამარაგებდნენ სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებს.

ამხ. მეჟავანაძემ მსმენელთა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის სწრაფ ამაღლებაში. მან აღნიშნა იმის დიდი მნიშვნელობა, რომ საბჭოთა მეურნეობების წარმოების კადრები. ისე როგორც რესპუბლიკის ყველა მშრომელი, ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში ცხადად ხედავდნენ კომუნიზმისაკენ წინსვლის პერსპექტივას. ეს შთაგონებს და გაალვიერებს მათ ბრძოლას პარტიის ისტორიული XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიულმა ორგანიზაციებმა თავიანთი მეურნეობების ყველა მუშაკს უნდა გააცნონ პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებანი, სკკპ პროგრამის შინაარსი და მნიშვნელობა. ამისათვის საჭიროა, რომ თვით პარტიული ორგანიზაციების მდივნებმა ღრმად შეისწავლონ თანამედროვეობის ეს დიდებული დოკუმენტები.

სოფლად პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობაზე, განაგრძობს ამხ. მეჟავანაძე, დამოკიდებულია რაოდენ წარმატებით შესრულდება პარტიის რაიკომების, რაიაღმასკომების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის საკითხებზე, პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის შესახებ.

ამხ. მეჟავანაძემ მსმენელთა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობა უნდა მოეწყოს დემოკრატიულ საწყისებზე, უნდა გადიდეს მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივების, საერთო კრებებისა და საწარმოო თათბირების როლი სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო საკითხების გადაჭრაში. ეს ხელს შეუწყობს წარმოების დაჩქარებულ აღმავლობას, მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის განვითარებას, სახოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფას, გაადიდებს საბჭოთა მეურნეობების მნიშვნელობას ქალაქსა და სოფელს შორის სოციალურ-ეკონომიური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო განსხვავებათა ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში.

ამხ. მეჟავანაძემ ილაპარაკა იმაზე, რომ საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი მუშაკები—დირექტორები, მთავარი აგრონომები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები და სხვები, თუ მათ გული შესტკივათ პარტიის მიერ დაკისრებული საქმისათვის, სამაგალითონი უნდა იყვნენ შრომასა და ყოფაცხოვრებაში, პირად მაგალითს უნდა აძლევდნენ კოლექტივს. მან მოუწოდა ხელმძღვანელებს განმსჭვალონ საქმის ინტერესებით, მუდამ იყვნენ იმ ადამიანებთან, ვინც ქმნის მატერიალურ ფასეულობებს. ამხ. მეჟავანაძემ მოითხოვა, რომ დირექტორები, პარტორგანიზაციების მდივნები და სხვა ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებიც საბჭოთა მეურნეობების გარეთ ცხოვრობენ, ქალაქიდან საცხოვრებლად გადავიდნენ სამსახურის ადგილას — საბჭოთა მეურნეობაში.

დაწვრილებით ილაპარაკა ამხ. მეჟავანაძემ მიწის უნარიანად გამოყენებაზე, მიწათმოქმედების სტრუქტურაზე, რომლის პირობებში შეიძლება მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მეტი პროდუქტის წარმოება, საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა შრომის სწორ ორგანიზაციაზე, მათი მატერიალური დაინტერესებულობის გაძლიერებაზე, აღნიშნა, რომ საჭიროა აღმოიფხვრას დარღვევები მიწათსარგებლობაში საბჭოთა მეურნეობების ცალკეული მუშაკების მხრივ, დაუნდობელი ბრძოლა წარმოებდეს უქნარებისა და დისციპლინის ბოროტი დამრღვევების წინააღმდეგ.

საბჭოთა მეურნეობების მშრომელნი, თქვა დასასრულ ამხ. მეჟავანაძემ, რომლებიც აღფრთოვანებული არიან პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებით, კომუნიზმის აშენების პროგრამის სიდიადით, მთელ ძალღონეს იხმარენ სასოფლო-სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრებას, ენერგიულად ემზადებიან უხვი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდისათვის 1962 წელს. საბჭოთა მეურნეობებს ყველაფერი აქვთ, რაც საჭიროა, რათა თავი გაართვან ახალ გადიდებულ მოთხოვნებს, აჩვენონ საქმის უნარიანი ორგანიზაციის მაგალითი.

ამხ. მეჟავანაძემ მიულოცა საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს კურს-სემინარების დამთავრება და წარმატება უსურვა მათ მუშაობაში (სქედესი).



სურათზე: თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის საგრეხი საამქროს მოწინავე მბეველი ლ. ცაგარელი, რომელიც ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

ოჯახი ერის ბურჯია

იოსეგ ჭორდანია,
პროფესორი, ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

ოჯახი სახელმწიფოს პირველადი უჯრედია. მისი საფუძველია. ჯანსაღი ოჯახის ინტერესები განუყრელად დაკავშირებულია საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებთან, რომელიც ყოველდღიურად უწევს მას მრავალი სახის დახმარებას — მატერიალურს, საბინაოს, საყოფაცხოვრებოს, სამართლებრივს და სხვ. ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობა შენდება მეუღლეებს შორის, მათს მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთ სიყვარულისა და პატივისცემის საწყისებზე, ყოფაცხოვრებაში ურთიერთ დახმარების საწყისებზე.

წარმოადგენს რა ადამიანთა კომუნისტური აღზრდის ჯერედს, ჩვენს ქვეყანაში ოჯახი ზრდის კომუნიზმის მშენებელთა, სოციალისტური სამშობლოს ერთგულ პატრიოტთა კადრებს.

ოჯახისა და სახელმწიფოს სიმტკიცის განმსაზღვრელი მრავალი ფაქტორიდან შეეხებით მხოლოდ ორს: საქმის რაოდენობრივ მხარეს — ოჯახის რიცხობრივ შემადგენლობას, ე. ი. მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის პრობლემას (პოპულაციის პრობლემას) და თვისებრივ მხარეს — ოჯახის თვითეული წევრის იდეურ მიმართულებას, მათს შეკავშირებას (აღზრდის პრობლემას).

სსრ კავშირში ყველა შესაძლებლობაა იმისათვის, რომ მოსახლეობის ბუნებრივი მატება აღმავალი გზით ვითარდებოდეს.

საზოგადოების განვითარების ისტორიამ დამაჯერებლად ცხადყო, რომ უაღრესად მცდარი იყო თეორიული „ძიებანი“ როგორც მალთუსისა (1766—1834) და მისი წინამორბედებისა, ისე მისი მიმდევრებისა — ნეომალთუსიანელებისა, რომლებიც უჭონელ კლასებს მოუწოდებდნენ თავი შეეკავებინათ შვილების ყოლისაგან. ცნობილია, რა მკაცრი პასუხი გასცეს მალთუსიანელებს კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა, ხოლო ნეომალთუსიანელებს — ვ. ი. ლენინმა.

ცნობილია, რომ სსრ კავშირს ამჟამად ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში მოსახლეობის ბუნებრივი მატების მხრივ.

ეს პრობლემა განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს იმ მოკავშირე რესპუბლიკებისათვის, რომლებსაც მოსახლეობის ბუნებრივი მატების მხრივ უკანასკნელი ადგილები უჭირავთ სსრ კავშირში. მათ რიცხვს ეკუთვნის საქართველოს სს რესპუბლიკაც, რომელიც ამჟამად შობადობის მხრივ ყველა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის მეთერთმეტე ადგილზეა.

ყურადღების ღირსია იმ საკითხის შესწავლა, თუ რატომ აქვს საქართველოს სხვა მოკავშირე რესპუბლიკების უმრავლესობასთან შედარებით მოსახლეობის ბუნებრივი მატების დაბალი მაჩვენებელი? საქართველოში ხომ თითქოს ისეთი პირობებია, რომლებიც მაქსიმალურად უნდა უწყობდნენ ხელს მოსახლეობის ბუნებრივ ზრდას. აქ ხომ მოწონაა სოციალური წყობილებაა, რომელიც უზრუნველყოფს ყოველი ეროვნების გაფურჩქვნას. საქართველოს უჭირავს ტეხიტორია, რომელიც განსხვავდება საუცხოო ეკოგრაფიული და კლიმატური პირობებით — ზღვის სანაპიროთი დაწყებული უმაღლეს მთებამდე, სხვადასხვა სამკურნალო წყაროებით, კურორტების სიმრავლით და ა. შ. ამას უნდა დავამატოს ფლორის სიმდიდრე, რომელიც მოსახლეობისათვის უზრუნველყოფს ჯანსაღ კვებას (ხილის, ბოსტნეულის და ვიტამინებით მდიდარი სხვა მცენარეების სიუხვე), აგრეთვე, რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, მოსახლეობის საუკეთესო ბუნებრივი თვისებები — ფიზიკური და ინტელექტუალური. მაშ რა უშლის ხელს მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის ტემპების გაძლიერებას? პოპულაციის პრობლემის მხრივ საქართველო რატომ არის „კონტრასტების ქვეყანა?“ მაგალითად, რით აიხსნება, რომ საქართველოს სს რესპუბლიკას, სადაც მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ყველაზე მაღალია, დაავადება და სიკვდილიანობა ყველაზე დაბალია, აქვს მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი?

საკითხის მდგომარეობას ის გარემოებაც ართულებს, რომ შობადობის ის დაბალი მაჩვენებელიც, რომელიც საქართველო მეთერთმეტე ადგილზე დაიყენა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, ერთგვაროვანი როდია საქართველოს ყველა რაიონისათვის. მაგალითად, აბაშის, ამბროლაურის, ზესტაფონის, ონის, მესტიის, ხობის, ყაზბეგის და ბევრ სხვა რაიონს შობადობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს. ამავე დროს ბოგდანოვკის, ახალქალაქის, ბოლნისის, ახალციხის, მარნეულისა და სხვა რაიონებს აქვთ არა მარტო მაღალი, არამედ ზოგჯერ ყველაზე მაღალი მაჩვენებლებიც კი მთელ საბჭოთა კავშირში. შემდეგ, მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებლები ზოგჯერ სულ სხვადასხვაა ორ მეზობელ რაიონშიც კი. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ქობულეთისა და მახარაძის რაიონებში სავსებით თანაბარი პირობებია (ორივე რაიონს აქვს ერთნაირი ეკონომიური, გეოგრაფიული და კლიმატური პირობები, მოსახლეობის საერთო კულტურა ორივე რაიონში თანაბარ დონეზე დგას და სხვ.), ქობულეთის რაიონში მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის მაღალი მაჩვენებელია — 33,6, მახარაძის რაიონში კი დაბალი — 16,1.

მოყვანილი მოკლე მონაცემები გვიჩვენებენ, რომ პოპულაციის პრობლემის მოსწავლას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მთლიანად სსრ კავშირისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოკავშირე რესპუბლიკებისათვის, რომლებიც ამ მხრივ ჩამორჩენილნ სსრ კავშირის მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის საშუალო მაჩვენებლებს, მათ შორის საქართველოს სს რესპუბლიკისათვის.

ვახლებით რა საქართველოში ამ საკითხის თავსებეტრებებს, შევეცდებით გამოვთქვათ რამდენიმე მოსაზრება იმ მიზეზებზე, რომლებიც, ჩვენი აზრით, იწვევენ საქართველოს ჩამორჩენას მეტი წილი მოკავშირე რესპუბლიკებისაგან მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის ტემპების მხრივ. ამასთან არ შევეხებით ზოგად საკითხებს — ეკონომიკის, მოსახლეობის ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობის გავლენას, მისი კულტურის დონეს, „ერის დაბერების“ პრობლემას და სხვ. ჩვენ დავჯერდებით მხოლოდ ზოგიერთ საკითხს, რომელსაც ამასთან დამოკიდებულება აქვს, რომელსაც ექმნები ხვდებიან და რომელიც, ამიტომ, პირველ რიგში იზიდავს მათს ყურადღებას.

პირველი საკითხი, რომელიც ამ მხრივ ჩვენი ყურადღების ღირსია, არის მოსახლეობის ქორწინიანობის საკითხი.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ რაც უფრო მტკიცეა ოჯახი, რაც უფრო მდიდარია იგი შთამომავლობით, მით უფრო მტკიცე და ძლიერია სახელმწიფო. ამიტომ მტკიცე ოჯახის შექმნა თვითეული სახელმწიფოს მოვალეობაა. ოჯახი რომ მტკიცე იყოს, იგი უნდა ემყარებოდეს მეუღლეთა ურთიერთ სიყვარულსა და პატივისცემასა, ხოლო მათ შორის კარგ ურთიერთობას შვილები უნდა ადუღებდნენ. ოჯახი რომ მრავალშვილიანი იყოს, საჭიროა დროულად დაქორწინება და ცოლქმრული ცხოვრების ხანგრძლივობა, ე. ი. ქორწინების ხანგრძლივობა, სიმყარე.

ოჯახის დროული შექმნა სრულწლოვანებას მიღწეული თვითეული საბჭოთა მოქალაქის მოვალეობაა. ეს განსაკუთრებით შეეხება მამაკაცებს, რომლებნეც ძირითადად დამოკიდებულნი ქორწინიანობის პრობლემის სასურველად გადაწყვეტა. საქართველოში შექმნილი ტრადიციების საფუძველზე ჩვენ ვფიქრობთ, რომ მამაკაცის ასაკი, რომლითაც უნდა მოავრდებოდეს მისი უცოლობის პერიოდი, 25 წელს არ უნდა აღემატებოდეს!

გვიან დაქორწინება, უნაყოფობა და ა. შ. მნიშვნელოვნად აფერხებს მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის ტემპებს. მაგრამ ამ მხრივ მთავარ ბოროტებად უნდა ვაღიაროთ აბორტი, ე. ი. შობადობის ხელოვნურად შეზღუდვა მეუღლეების მიერ, რისთვისაც იყენებენ ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის უფლებას, რომელიც საბჭოთა კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ ქალებს.

ის გარემოება, რომ ქალები ფართოდ იყენებენ ხელოვნური აბორტის უფლებას, საქართველოში არა მარტო აფერხებს მრავალშვილიანი ოჯახის შექმნას, არამედ საქართველოს გაცილებით უფრო არახელსაყრელ პირობებშიც აყენებს მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის ტემპების გადიდების მხრივ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან შედარებით. ჩვენმა საზოგადოებრიობამ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ქმედითი ღონისძიებები აბორტების რაოდენობის მკვეთრად შემცირებისათვის, უამისოდ შეუძლებელი იქნება მივაღწიოთ მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის ტემპების ამაღლებას.

იმვითია არ არის, რომ ქალი, რომელსაც გადაუწყვეტია ხელოვნური აბორტი ბელყოფილი, მაგრამ ფუფუნების საგნებს მოკლებულია. ასეთი შემთხვევაში ეგოისტი მშობლები ჩვეულებრივად ზრდიან ეგოისტ შვილებს, მომავალ „ბებერ უცოლოებსა და ... ქალებს“, რომლებიც ცხოვრებისაგან ყველა სიკეთეს იღებენ, ხოლო მას სანაცვლოდ ან ცოტა რამეს აძლევენ ან სულაც არ აძლევენ რამეს!

გადამწყვეტ როლს ასრულებენ თუ არა პოპულაციის პრობლემაში მატერიალური ფაქტორები: საბინაო პირობები, ოჯახის ხელფასი და სხვ.?

უეჭველია, ეკონომიური პირობები გარკვეულ როლს ასრულებენ ქორწინიანობის, განქორწინების, შვილების ყოლით ოჯახის ზრდისა და სხვა საკითხებში, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსახლეობის ზრდის დინამიკაზე.

ეაბრამ უამრავი ფაქტობრივი მასალა საფუძველს არ გვაძლევს ეკონომიურ ფაქტორებს მივაწეროთ გადამწყვეტი როლი პოპულაციის პრობლემაში. ყოველდღიური დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მრავალშვილიანობა, ოჯახი ხშირი მოვლენაა ეკონომიურად შედარებით ნაკლებად უხრუნველყოფილ ოჯახებში. ხოლო ბევრი ოჯახი, რომელიც ძლიერია ეკონომიურად, აქვს კარგი შემოსავალი, ფართო ბინა, აჩენს ერთ ან ორ შვილს. არ შეიძლება აგრეთვე მხედველობიდან გავუშვათ ის, რომ ახალგაზრდობაში, როცა ახლად დაქორწინებულნი ოჯახის შექმნას იწყებენ, მათი საბინაო პირობები და ხელფასი შესაძლებელია ძალიან კარგი როდი იყოს. მაგრამ შემდეგში, როგორც წესი, ეს პირობები ხომ უმჯობესდება მეუღლეთა შრომის კვალიფიკაციის ამაღლების მატერიალური დოვლათის ზრდის კვალობაზე სახელმწიფოში ამ დოვლათის ზრდის შესაბამისად.

რა ძალიან ხშირად გვიხდება ჩვენ, ექიმებს, ვისმენდეთ მეუღლეთა მწარე ჩივილს და თხოვნას დავეხმაროთ, იმიტომ რომ ისინი უშვილონი არიან, ვინაიდან დაქორწინების შემდგომ პირველ წლებში ვიწრო საბინაო პირობებში რომ ცხოვრობდნენ და დიდი ხელფასი არ ჰქონდათ, ყოველნაირი მეთოდით გაუბრიდნენ შვილის ყოლას: ახლა კი, როცა წლები გავიდა, მეუღლეებმა კარგი ბინა მიიღეს, ხელფასი მნიშვნელოვნად გაუდიდდათ, ქალი აღარ ორსულდება, ქორწინება უნაყოფოდ ხდება. ეს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ ახალგაზრდა მეუღლეებს, რათა შემდეგში არ ინანონ: უმჯობესია შედარებით ძნელ პირობებში სიცოცხლე მისცეს ახალგაზრდა თაობას, შობა ბავშვები, ვიდრე იმის საფრთხეში ჩაგდდეთ თავი, რომ მთელ სიცოცხლეში უშვილო დარჩე.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირში ხორციელდება ფართო ღონისძიებანი, რომელთა მიზნია შეჩმატებიელები მტკიცე, მშრომელი მრავალშვილიანი ოჯახის შექმნა. ყველასათვის ცნობილია ის დიდი ყურადღება, რითაც ჩვენში ეპყრობიან მრავალშვილიან დედებს, რომლებისთვისაც გათვალისწინებულია ფართო წამახალისებელი ღონისძიებანი: მთავრობის „ოქდოფი — „დედობის მედალი“, „სახელოვანი დედის ორდენი“ და საპატიო წოდება „გმირი დედა“, ფულადი დახმარება, აგრეთვე ღონისძიებანი ბავშვთა შენახვის შესამსუბუქებლად — ყველა ტიპის საბავშვო დაწესებულებანი (ბაგები, საბავშვო სახლები, საბავშვო ბაღები, სკოლა-ინტერნატები და სხვ.), აგრეთვე გახანგრძლივებული სამუშაო დღის სკოლები და სხვ. სოციალისტური საზოგადოების სასარგებლო წევრთა პიროვნების ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებენ პიონერთა სასახლეები, კომკავშირული კლუბები, ფაბრიკებთან, ქარხნებთან, დაწესებულებებთან არსებული კლუბები სრულსაკოვანთათვის და სხვ. ახალგაზრდობა დიდი სიხარულით შეეხება ლენინგრადელთა თაოსნობას, რომლებმაც დააარსეს „ქორწინების სასახლე.“ მაგრამ დასახელებული და სხვა მათი ანალოგიური ორგანიზაციები დაქსაქსულად მოქმედებენ და ემსახურებიან ოჯახის მხოლოდ ცალკეულ წევრებს — პიონერს, კომკავშირელს, მშობლებს კი, მაგალითად, არ შეუძლიათ მოხვდნენ პიონერთა სასახლეში, სადაც თავისუფალ დროს ატარებენ მათი შვილები. ისეთი მდგომარეობა, როცა ოჯახის წევრები თავიანთ თავისუფალ დროს სხვადასხვა ადგილას ატარებენ, ხელს ვერ უწყობენ ოჯახის შედეგლობებას. ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ჩვენი სამშობლოს ისეთ დიდ ცენტრებში, როგორც, მაგალითად, ქ. თბილისია, დაარსდეს ოჯახის სასახლე, სადაც მთლიანად იქნება დაკმაყოფილებული ოჯახის თვითეული წევრის კულტურული მოთხოვნილებანი ყველაზე უმცროსიდან ყველაზე უფროსამდე, სადაც ოჯახს შეეძლება თავისუფალ დროს სრული შემადგენლობით მიდიოდეს და სადაც თვითეული მისი წევრი იპოვნის ყოველივე აუცილებელს დროის სასიამოვნოდ და ნაყოფიერად გატარებისათვის. ოჯახის სასახლე, ჩვენი აზრით, სხვა ღონისძიებებთან ერთად დიდ როლს შეასრულებდა მრავალშვილიანი ოჯახების შექმნის სტიმულირებაში და ამით დიდ სარგებლობას მოუტანდა ოჯახს, საზოგადოებას, სახელმწიფოს.

თავს ნებას მივცემ მოვიხსენიო ზოგიერთი სასიხარულო ფაქტი.

1000 სულ მოსახლეზე შობადობის მაჩვენებელი, რომელიც საქართველოში წლითიწლობით მცირდებოდა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება აბორტების ლეგალიზაციის შესახებ, უკანასკნელ სამ წელიწადში არა მარტო შეწყდა, არამედ, პირიქით, რეგულარული გადიდებითაც შეიცვალა. ახლა, დაწყებული

„ეს ფანტასტიკურია!“

ქართველი მოცეკვავეები ნორვეგიაში

ოსლო, 2 დეკემბერი. საკ-დესის კორესპონდენტი ვ. ვავილოვი იუწყება:

დიდი წარმატებით მიმდინარეობს ოსლოში საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გამოსვლები. ნორვეგიელი მაყურებლები აღტაცებული არიან ქართველ მოცეკვავეთა თავისებური, განუმეორებელი ხელოვნებით.

— ეს ფანტასტიკურია! ეს შესანიშნავია! — თქვა ნორვეგიის პრემიერ-მინისტრმა ე. ჰერჰარდსენმა, როცა წარმოდგენის შემდეგ მიუოლცა ანსამბლის ხელმძღვანელებს ილიკო სუხიშვილსა და ნინო რამიშვილს. დიდი კმაყოფილებით ვუყურებდი ქართველ მსახიობთა გამოსვლებს. პირველად სიამოვნება მქონდა გავცნობოდი ქართული ცეკვის ხელოვნებას საქართველოს დედაქალაქ თბილისში, როცა ვიზიტად ვიყავი საბჭოთა კავშირში. მაშინ მე გამაოცა ქართული ეროვნული ხელოვნების სინატიფემ და თავისებურებამ, ახლა კვლავ კმაყოფილებით ვუყურებ მსახიობთა საუცხოო ოსტატობას.

პრემიერ-მინისტრმა კმაყოფილება გამოთქვა, რომ ნორვეგიელებს შესაძლებლობა მიეცათ გასცნობოდნენ ასეთ შესანიშნავ ხელოვნებას.

ქართული ანსამბლის წარმოდგენებს ესწრებიან ნორვეგიის მთავრობის ხელმძღვანელები, მინისტრები, სტორტინგის დეპუტატები, დიპლომატიური კორპუსის წევრები.

ოსლოს ბურგომისტრმა ბ. ბულმა ქართული ანსამბლის პატივსაცემად დარბაზობა გამართა რატუშის დარბაზში.

ძლიერ მოხარული ვარ, რომ ასეთი შესანიშნავი საბჭოთა ანსამბლი ჩამოვიდა ოსლოში. ეს არც ისე ხშირად ხდება. თავიანთი ღრმა ხალხური, თავისებური ხელოვნებით ქართველებმა დაატყვევეს ნორვეგიელ მაყურებელთა გული. ყველა ნორვეგიელი, რომელსაც ბედნიერება ჰქონდა ენახა ანსამბლის წარმოდგენები, აღტაცებულია, განაცხადა ბ. ბულმა.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ი. სუხიშვილმა.

700 მილიონიან ჩინეთს — კუთვნილი ადგილი!..

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVI სესია

ნიუ-იორკი, 2 დეკემბერი. (საკდესი). ჯუშინ ღირსშესანიშნავი დღე იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისტორიაში. გენერალურმა ასამბლეამ პირველად დაიწყო განხილვა სსრ კავშირის დელეგაციის მიერ დიდი ხნის წინათ დაყენებული საკითხისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებების აღდგენის შესახებ. გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში არის აგრეთვე ახალი ზელანდიის დელეგაციის მიერ შეტანილი საკითხი „გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის წარმომადგენლობის შესახებ“.

დასავლეთის ბლოკის დელეგაციები ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე ფუშავდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენის საკითხის განხილვას. მაგრამ სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების დელეგაციათა ღონისძიებებისა და აზიისა და აფრიკის ქვეყნების დელეგაციათა მხარდაჭერის მეოხებით დასავლეთის ბლოკის ზოგიერთმა ქვეყანამაც კი შეიგნო, რომ ალარ შეიძლება

შვეიცარია. ბერნი. 30 ათასზე მეტი გლეხი შეიკრიბა შვეიცარიის სხვადასხვა კანტონიდან დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე, რომ პროტესტი გამოეთქვა მთავრობის სახიფლო-სამეურნეო პოლიტიკის წინააღმდეგ. გლეხებსა და პოლიციას შორის მომხდარი შეტაკების შედეგად რამდენიმე კაცი დაიჭრა.

ფოტო კეისტონის სააგენტოსი.

ნიუ-იორკი, 3 დეკემბერი. (საკდესი). დომინგოს რესპუბლიკაში გრძელდება დაძაბული მდგომარეობა. მთელ რესპუბლიკაში მიმდინარეობს მასობრივი დემონსტრაციები, რომელთა მონაწილეები მოითხოვენ ტრუჰილიოს ოჯახის დიქტატურის ყველა კვალის მოსპობას და დემოკრატიული მთავრობის დაუყოვნებლივ შექმნას. მეოთხე დღეა გრძელდება საყოველთაო გაფიცვა, რომელიც გამოცხადდა ხელისუფლების სათავეში პრეამერიკელი პრეზიდენტის ბალაგერის შემდგომი ყოფნის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, იმის გამო, რომ ბალაგერს არ ძალუძს კონტროლი გაუწიოს მდგომარეობას რესპუბლიკაში, ძალაუფლება ხელთ იგდეს სამხედრო წრეებმა. ამის შედეგად შექმნილი სამხედრო ხუნტა აწყობს დემონსტრაციების მასობრივ დახვრეტას. როგორც პრესსა ლატინას საააგენტოს კორესპონდენტი სან-ხუანიდან იუწყება, პუერტო-რიკოს დედაქალაქში მიღებულია ცნობები, რომ ქალაქ სანტო-დომინგოში დახვრიტეს ქალთა დემონსტრაცია. დემონსტრაციის ერთი მონაწილე მოკლულია და დაახლოებით ასი დაჭრილია. რეპრესიული მოქმედება, ნათქვამია ცნობაში, ამავე დროს ხორციელდება რესპუბლიკის მეორე სიდიდის ქალაქში სანტ-იაგო-დე-ლოს-კაბალიეროსში.

შეერთებული შტატები კვლავ ერევიან

დიკლომატიური ფოსტის გატაცება

ჯაკარტა, 2 დეკემბერი. (საკდესი). როგორც პიას საააგენტოს კორესპონდენტი ნიუ-იორკიდან იტყობინება, ამ დღეებში ბანდიტთა ბრბომ დღისით, მზისით ავიოკომპანია „პან-ამერიკენის“ სატვირთო ავტომანქანიდან გაიტაცა ჩემოდანი დიპლომატიური დოკუმენტებით, რომლებიც ეკუთვნოდა ნიუ-იორკში ინდონეზიის რესპუბლიკის დიპლომატიურ მისიას.

დაძაბული მდგომარეობა

დომინგოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში. მის ნაპირებთან დადიან ამერიკის სამხედრო ხომალდები, რომლებზეც არის საზღვაო კვეთი ჯარი და საბრძოლო გამზადებული რეაქტიული სამხედრო თვითმფრინაველი. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა პრესისათვის გაავრცელა განცხადება. „შეერთებული შტატები შეშფოთებული არიან იმით, — ნათქვამია, კერძოდ, ამ განცხადებაში, — რომ დომინგოს რესპუბლიკაში მომხდარი ამბები შეიძლება მოასწავებდეს უკანგადადგმულ ნაბიჯს ამ კვეყნის ხალხის წინსვლაში დემოკრატიული ფორმის მართვის გზაზე“. განცხადებაში აშკარად აღიარებულია, რომ მდგომარეობა დომინგოს რესპუბლიკაში, რაც შეიქმნა ბალაგერისა და მისი დამჭაბვების წინააღმდეგ ხალხის გამოსვლების შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების სერიოზულ შეშფოთებას იწვევს.

„იყიდეთ მხოლოდ ჩვენგან“

მთელ მსოფლიოში სიამაყით ეღერს სკკპ ახალი პროგრამის ნათელი სიტყვები იმის შესახებ, რომ დედამიწაზე კომუნიზმი ამკვიდრებს მშვიდობას, შრომას, ყველა ხალხის თავისუფლებას, თანასწორობას, ძმობასა და ბედნიერებას.

რა შეუძლია ამ კეთილშობილურ მიზნებს დაუპირისპიროს „კაპიტალიზმმა? სრულებით ვერაფერი!

და აი გაკაკვრიან უკანასკნელი დღეების ბურჟუაზიულ გაზეთებში დაბეჭდილი განცხადებები: „იყიდეთ მხოლოდ ჩვენგან!“

რის შეძენას მოუწოდებენ ისინი? ამის შესახებ ასახულია თვით ბურჟუაზიულ გაზეთებში — „ყვითელი ოქრის“ სარკეში. აქ მოთავსებული ცნობები დაასაბუთებულ განწირული წყობილების ზნეჩაეფლების დამახასიათებელია.

ასკარეზიკა მიწის ქვეშ

ამერიკა ომის ფსიქოზს შეუპყრია,— შენიშნავს ჟურნალი „ტაიმსი“. თუ წინათ ამერიკელის იდეალი საკუთარი სახლის აშენება იყო სადმე ქალაქის გარეუბანში, ახლა იგი ახალმა იდეალმა — საკუთარი ატომური თავშესაფარის აგებამ — შეცვალა. შეერთებულ შტატებში ყველაზე უფრო გავრცელებულ წიგნად სამხედრო სამინისტროს ბროშურა „საბჯახო ატომური ბუნკერი“. ჩიკაგოდან იტყობინებიან, რომ იქ გაიხსნა მსოფლიოში პირველი მიწისქვეშა კლუბი. იგი იტევს 500 კაცს. ჯენტლმენებს შეუძლიათ ოთამაშონ კეგლი. ისინი ვარაუდობენ, რომ მიწისქვეშ სიამით გაატარებენ დროს, როცა მსოფლიოს გადაჩეხენ ატომგადაღებულ ომში. კლუბი აღჭურვილია სურსათის, ვისკისა და სხვა მაგარი სასმელების დიდი მარაგით.

სასტვენი — ქალის „დამამშვენებელი“

ცნობილია რომ ქალის ტუალეტის მთავარი საგნებია პომადა და სუპედრე. ბრუკლინში (ნიუ-იორკის რაიონი) ისე გაბერილა ქალებზე თავდასხმები, რომ პოლიციამ მოუწოდა სასიგნალო ნიშნები ატარონ. ეს ნიშნები ამერიკელი ქალის ძირითადი სატუალეტო საგანი ხდება. ქალებს შეუძლიათ ნიშნები დაიკიდონ ჯაჭვზე, როგორც ამას ფლოტის მოცეკვეები აკეთებენ, გამოიყენონ გულსაბნევის ნაცვლად. ესეც არაფერი. საინტერესო ის არის, რომ ნიუ-იორკის ხელისუფალთა არჩევნებისათვის სამზადისის დროს რესპუბლიკური პარტიის კანდიდატმა რამდენიმე ათასი სასტვენი მეისყიდა და ამომრჩევლებს დაურიგა... უფასოდ. ესეც ორიგინალური ნაბიჯია. რიცა თავდასხმელები და მოძალადენი ქალებზე იერიშს მიიტანენ, მათ შესაძლებლობა ექნებათ ჩაბერონ სასტვენში... შრომის თავისებური განაწილებაა. განგსტერები ბოროტებას ჩადიან, დემაგოგები კი პოლიტიკურ კაპიტალს იძენენ. განგსტერი პოლიტიკური მოღვაწის თანამემწე ხდება.

დამამშვიდებელი პერანგი რევანშისტებისათვის.

ნახატი ს. ჩისტიაკოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

150 დღე კანადის ჰოსპიტალში

მურმანსკი, 1 დეკემბერი. (საკდესი). ეს მოხდა ჩრდილოეთ ატლანტიკაში, სადაც მურმანსკელი მეთევზეები ჯაშუს იჭერენ. როცა დიდი რეფრიჟერატორიდან „ნოვიკოვ-პრიბოიდან“ თევზს ტვირთავდნენ მცურავ ბაზა „სეგეროდვინსკზე“ ტრაულერის მატროსი ივანე ნევმერეიცი დიდი სიმაღლიდან ჩამოვარდა და გემბანზე დაეცა. დაცემისას მან მიიღო თეძოსა და მარჯვენა მხარის რთული მოტეხილობა.

მძიმე მდგომარეობაში მყოფი მეზღვაურის დატოვება გემის ლაზარეთში შეუძლებელი იყო. მშობლიურ ნაპირებამდე კი ბობოქარი ოკეანის ათასობით მილია. დაზარალებული მიიყვანეს კანადის უახლოეს ნავსადგურში — ქალაქ სენტ-ჯონსში და დაუწინეს ადგილობრივ ჰოსპიტალში, რისთვისაც ბევრი ფული გადაიხადეს. დაახლოებით ხუთი თვე იწვა იქ საბჭოთა მეზღვაური. ამ დროის მანძილზე იგი მარტო მძიმე ავადმყოფობას როდი ებრძოდა. ივანე ნევმერეიცის თითქმის ყოველდღე მოსვენებას არ აძლევდნენ პროფესორები, წინადადებას აძლევდნენ მას ელაპარაკა სამშობლოსათვის და გადასულიყო ჩვენი მტრების ბანაკში. ვიდაცამ სუფთა ბლანკებიც კი მიუტანა და დაჟინებით მოითხოვდა ხელი მოეწერა.

ერთხელ ნევმერეიცი მეორე სართულიდან მესამეში გადაიყვანეს. იქ მასთან დაახლოებას ცდილობდა ვიღაც ადამიანი, რომელმაც თავი უკრაინელ ემიგრანტად გაასაღა და რომელიც აქ თითქოს სამკურნალოდ იყო. იგი აგრეთვე შეეცადა აეძულებინა საბჭოთა მეზღვაური კანადის ქვეშევრდომი გამხდარიყო, ამის პასუხად მან მტაცედ, ისევე როგორც სხვა ამგვარ შემთხვევებში, თქვა:

— მე საბჭოთა ადამიანი ვარ. ვამაყობ ამით. არ არის ჩემს სამშობლოზე უკეთესი ქვეყანა.

თითქმის 150 დღის განმავლობაში, რომლებიც მშობლიური ნაპირებიდან შორს გაატარა საავადმყოფოს საწოლზე, საბჭოთა მატროსთან იყო ათობით უცნობი მეგზავნილი ადამიანი. ესენი იყვნენ კეკლუცი ქალებიც, მდედელმსახურნიც, და დაუძინებელი, ბევრი რამის მნახველი მზვერავებიც. ყველა მათი მეცადინეობა წაეყოდა საბჭოთა ქვეყნის რიგითი მეზღვაურის პატრიოტზმს.

სამშობლო განაგრძობდა ზრუნვას თავისი შვილისათვის, რომელიც უცხო ადამიანთა გარემოცვაში აღმოჩნდა. მასთან მიდიოდნენ საბჭოთა საკონსულოს წარმომადგენლები. მურმანსკის, კალინინგრადის, ტალინთის თევზის საბერი ფლოტილიების მეთევზეები, რომლებიც სენტ-ჯონსის ნავსადგურში შედიოდნენ. მატროსი ყოველთვის იყო შორეული სამშობლოს მჩქეფარე ცხოვრების კერაში.

როგორც კი ივანე ნევმერეიცის ჯანმრთელობის მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა, იგი მურმანსკში ჩამოიყვანეს. ახლა მას მკურნალობენ საოლქო საავადმყოფოში, საბჭოთა პატრიოტი ბედნიერია, რომ კვლავ შინ არის, მშობლიურ მიწა-წყალზე, რომ გარემოსილია ახლობელ ადამიანთა ზრუნვით.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ იმ დროს, როცა საბჭოთა მეზღვაური კანადის ჰოსპიტალში იყო, მურმანსკის საოლქო პოლიკლინიკაში მოვიდა საბერძნეთის გემის „გეორგოს ცაკირგელუს“ მატროსი პაროსკუს პანტელაქსისი. მას მწვავე აპენდიციტი ალმოჩრდა. საბჭოთა ექიმებმა უფასოდ (ისევე როგორც ყველა უცხოელ მეზღვაურს ჩვენი ქვეყნის საავადმყოფოებში) ოპერაცია გაუკეთეს და მოარჩინეს.

მშვიდობის ინტერესებისათვის

ო. გროტეოლის წერილი კანცლერ ადენაუერისადმი

ბერლინი, 2 დეკემბერი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ოტო გროტეოლმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ ადენაუერს გაუგზავნა წერილი, რომელშიც აყენებს წინადადებას — შეთანხმონ საჭირო ღონისძიებანი იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ მშვიდობა და განავითარონ ნორმალური ურთიერთობა ორივე გერმანულ სახელმწიფოს შორის.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ნათქვამია წერილში, დაბეჯითებითი წინადადებით მიმართავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას დაიწყოს მოლაპარაკება ორივე გერმანული სახელმწიფოს წარმომადგენლებს შორის.

ამასთან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა — გერმანელი ხალხის ინტერესებისათვის და ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფის ინტერესებისათვის — ხელმძღვანელობს იმით, რომ საჭიროა დადონ გერმანიის საზავო ხელშეკრულება, უზრუნველყონ ორივე გერმანული სახელმწიფოს სამხედრო ნეიტრალიტეტი და მშვიდობიანი თანაშრომლობა გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანების მომზადების მიზნით.

ო. გროტეოლი აღნიშნავს, რომ რადგან ამჟამად შეუძლებელია ურთიერთგაგების მიღწევა ყველა მნიშვნელოვან საკითხზე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინადადებაა შეთანხმდნენ, რომ მხარეებმა განახორციელონ ღონისძიებათა მინიმუმი, რომელიც შემდეგით გამოიხატება:

1. ორივე გერმანული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას პატივი სცენ ერთმეორის სუვერენიტეტს და ყოველგვარი სასაზღვრო კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ნაშნები დაადონ საზღვარს ერთმანეთს შორის.

2. ორივე გერმანული სახელმწიფო იწყებს მოლაპარაკებას თავისი პოზიციის შესახებ გერმანიის საზავო ხელშეკრულების შინაარსის მიმართ.

3. ორივე გერმანული სახელმწიფო უარს ამბობს თავიანთი შეიარაღებული ძალების აღჭურვაზე ატომური იარაღით, აგრეთვე ამ იარაღის წარმოებაზე.

4. ორივე გერმანული სახელმწიფო მზარს უტარებს თავდაუსხმელობის პაქტის დადებას ვარშავის ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებსა და ნატოს მონაწილე სახელმწიფოებს შორის.

5. ორივე გერმანული სახელმწიფო ეცდება, რომ მიღებულ იქნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

„ჩვენ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ საზავო ხელშეკრულება, განამტკიცებს რა გერმანიის საზღვრებს, რომლებიც დაწესებულია პოტსდამის შეთანხმებით, ხელ-ფეხს შეუკრავს რევანშისტებს და დაუკარგავს მათ ავანტიურების ხალისს“.

ნ. ს. ხრუშჩოვი.

ცეცხლთან თამაში საჩიფათოა

ამბობენ, როცა მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლში გამოვლილი გენერალი და სახელმწიფო მოღვაწე დუიტ ეიზენჰაუერი პრეზიდენტის თბილ სავარძელს ეთხოვებოდა, ერთი ფრიად საყურადღებო და, სამწუხაროდ, შეუმჩნეველად დარჩენილი გაფრთხილება დატოვა. მას თითქოს შინი გამოუთქვამს იმ „სამხედრო და სამრეწველო კომპლექსის“ განუზომლად მზარდი ტენდენციის გამო, რომელზეც დაბანდებულია მილიონობით ადამიანი და მილიარდობით დოლარი.

ასეთი გაფრთხილების დატოვებას, რა თქმა უნდა, აჯობებდა ცოტა რამ თვითონაც გაეკეთებინა, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებს განაგებდა და, ამ მხრივ, კარგი მაგალითი მიეცა ახალბედა პრეზიდენტისათვის. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ახალმა ხელმძღვანელობამ კი კურსი იქითკენ აიღო, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი და მეტი დოლარი დაიბანდოს გამანადგურებელი ომის მოსაამზადებლად.

ვერ ვიტყვით კენედის არ ესმოდეს, რომ ახლანდელ ვითარებაში სიტყვები „ომი“ და „გამარჯვება“ ანაქრონიზმი გახდა და უნდა შეიცვალოს სიტყვით „მოსპობა“, მას ისიც ესმის, რომ შეერთებული შტატები არ არიან „არც ყოველის შემძლე, არც ყოველს წამყვანი“ და მათ არ შეეძლიათ თავიანთი ნება-სურვილი თავს მოახვიონ კაცობრიობის დანარჩენ 94 პროცენტს.

ახლა ძალის წინააღმდეგ უფრო ძლიერი ძალაა აღმართული. ცეცხლთან თამაში არ შეიძლება. ატომური ომის დაშნაშავეს სიკვდილი მისწვდება მსოფლიოს ყოველ კუნჭულში. ომი ნამდვილი სიგიჟეა, თვითმკვლელობაა, იცის, ეს კარგად იცის პრეზიდენტმა კენედიმ და მით უფრო საოცარია, რომ თავს ვერ აღწევს ომის ქურუმთა გაელვენას, თვითთხუბ ადამიანის სისხლით მოვაპრეთა ფერხულში დგას და ხოტბას ასხამს თვითმკვლელობისათვის გამიზნულ გიჟურ მზადებას.

განა შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი მაკნამარა არ არის, რომ ბაქიბუქობს, აქაო და 1.700 საკონტინენტთაშორისო ბომბდამშენი გვაქვსო, ჩვენი 80 რაკეტა „პოლარისი“ განლაგებულია ზღვებში წყალქვეშა ნავებითო, შეიარაღებული ვართ რამდენიმე ათეული საბრძოლო საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტითო, მზადყოფნის მდგომარეობაში გვაქვს 2.000 საბრძოლო თვითმფრინაველო.

განა დრო არ არის დამამშვიდებელი პერანგი ჩაიცვან ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსს გენერალ კერტის ლიმეის, როგორც ამბობენ, ასეთ ფრაზებზე: „ბოლო ომში ჩვენ ერთ-ერთ ბომბდამშენ ეფექტურად ვიმოქმედეთ, ეს ბომბდამშენი ბომბებს ისროდა ბოლოს ბომბებზე, ეს ბომბები ბომბებს ისროდა ბოლოს ბომბებზე, ეს ბომბები ბომბებს ისროდა ბოლოს ბომბებზე“.

ამერიკის ახალი მანევრის განსაორკეცებლად, რომ ჩაფუშოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენის საკითხი, ავსტრალიის, კოლუმბიის, იტალიის, იაპონიისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციებმა სულ უკანასკნელ მომენტში შეიტანეს რეზოლუციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ „ჩინეთის წარმომადგენლობის შეცვლის“ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად „საჭიროა“ ხმების ორი მესამედი.

დღეს პირველი გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის მეთაური ვ. ა. ზორინი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენის საკითხი, ხაზგასმით აღნიშნა ვ. ა. ზორინმა, უალრესად დიდმნიშვნელოვანი, საკითხია მშვიდობის გაღმტკიცებისათვის, საერთაშორისო ვითარების ნორმალიზაციისა და თვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის ბრძოლის თვალსაზრისით. ამ საკითხის დაუყოვნებლივ დადებითად გადაჭრა, თქვა მან, უდიდეს კეთილმყოფელ გავლენას მოახდენს მთელ საერთაშორისო ვითარებაზე, დიდი ნაბიჯი იქნება წინ სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის განმტკიცების გზაზე.

ვ. ა. ზორინმა ამხილა ამერიკის შეერთებული შტატების მანევრები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა წინააღმდეგ.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ვ. ა. ზორინის გამოსვლას ტაშით შეხვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVI სესიის დელეგატთა დიდი უმრავლესობა.



სადღესასწაულო თემაზე

ასკარეზიკა მიწის ქვეშ

ამერიკა ომის ფსიქოზს შეუპყრია,— შენიშნავს ჟურნალი „ტაიმსი“. თუ წინათ ამერიკელის იდეალი საკუთარი სახლის აშენება იყო სადმე ქალაქის გარეუბანში, ახლა იგი ახალმა იდეალმა — საკუთარი ატომური თავშესაფარის აგებამ — შეცვალა. შეერთებულ შტატებში ყველაზე უფრო გავრცელებულ წიგნად სამხედრო სამინისტროს ბროშურა „საბჯახო ატომური ბუნკერი“. ჩიკაგოდან იტყობინებიან, რომ იქ გაიხსნა მსოფლიოში პირველი მიწისქვეშა კლუბი. იგი იტევს 500 კაცს. ჯენტლმენებს შეუძლიათ ითამაშონ კეგლი. ისინი ვარაუდობენ, რომ მიწისქვეშ სიამით გაატარებენ დროს, როცა მსოფლიოს გადაჩეხენ ატომგადაღებულ ომში. კლუბი აღჭურვილია სურსათის, ვისკისა და სხვა მაგარი სასმელების დიდი მარაგით.

სასტვენი — ქალის „დამამშვენებელი“

ცნობილია რომ ქალის ტუალეტის მთავარი საგნებია პომადა და სუპედრე. ბრუკლინში (ნიუ-იორკის რაიონი) ისე გაბერილა ქალებზე თავდასხმები, რომ პოლიციამ მოუწოდა სასიგნალო ნიშნები ატარონ. ეს ნიშნები ამერიკელი ქალის ძირითადი სატუალეტო საგანი ხდება. ქალებს შეუძლიათ ნიშნები დაიკიდონ ჯაჭვზე, როგორც ამას ფლოტის მოცეკვეები აკეთებენ, გამოიყენონ გულსაბნევის ნაცვლად. ესეც არაფერი. საინტერესო ის არის, რომ ნიუ-იორკის ხელისუფალთა არჩევნებისათვის სამზადისის დროს რესპუბლიკური პარტიის კანდიდატმა რამდენიმე ათასი სასტვენი მეისყიდა და ამომრჩევლებს დაურიგა... უფასოდ. ესეც ორიგინალური ნაბიჯია. რიცა თავდასხმელები და მოძალადენი ქალებზე იერიშს მიიტანენ, მათ შესაძლებლობა ექნებათ ჩაბერონ სასტვენში... შრომის თავისებური განაწილებაა. განგსტერები ბოროტებას ჩადიან, დემაგოგები კი პოლიტიკურ კაპიტალს იძენენ. განგსტერი პოლიტიკური მოღვაწის თანამემწე ხდება.

სტიქიური უბედურება კონგოში

ლეოპოლდვილი, 3 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი გ. ფედიაშინი იტყობინება: წელს მეტად გაჭიანურდა წვიმების სეზონი, რამაც მძიმე სტიქიური უბედურება გამოიწვია კონგოს რესპუბლიკის ბევრ რაიონში. თითქმის ყოველდღიურ ტროპიკულ კოკისპირულ წვიმებს მოჰყვა წყლის ძლიერი აწევა ყველა მდინარეში და განსაკუთრებით მთავარი წყლის არტერიაში — მდინარე კონგოში.

ადიდებულმა მდინარე კონგომ დიდი უბედურება გამოიწვია: დატბორილია ასობით სოფელი, ათასობით ადამიანი დარჩა უსახლკაროდ.

განსაკუთრებით მძიმე უბედური მდგომარეობა შეიქმნა სტენლივილში. დღეს საკდესის კორესპონდენტი ესაუბრა კონგოს ელექტროსადგურების მთავარ მმართველს ზენჰაუზენს, რომელიც ესეს არის დაბრუნდა სტენლივილიდან.

ეს წყალდიდობა, თქვა მან, — ნამდვილი ეროვნული უბედურებაა. არასდროს წინათ მდინარე კონგოს წყალს არ მიუღწევია ასეთი მაღალი დონისათვის. წყალმა შვიდი მეტრით აიწია.

სტენლივილის მდგომარეობა კატასტროფულია. დატბორილია ნავსადგური და მისი ყველა ნაგებობა. გადაჭრილია ქალაქში მისასვლელი სახმელეთო გზები.

მეოთხეული
მეცხრე
თბილისი

ჯურნირის „დედოფალთან“

ნონა: გმაღლობთ, მეგობრებო!

გუშინ იუგოსლავიიდან თბილისში დაბრუნდნენ მსოფლიოს ჩემპიონის სახელის პრეტენდენტი, საერთაშორისო ოსტატი ნონა გაფრინდაშვილი და მისი მწვრთნელი ოსტატი მიხეილ შიშოვი. დედაქალაქის საზოგადოებრიობამ, სპორტსმენებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს საამაყო მოჭადრაკეს და მის მწვრთნელს, რომლებსაც მიართვეს ცოცხალი ყვავილების თაიგულები.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა პრეტენდენტთა ტურნირის გმირს ნონა გაფრინდაშვილს სთხოვა ეპასუხა რამდენიმე შეკითხვაზე.

შეკითხვაზე რამ განაპირობა მისი გამარჯვება პრეტენდენტთა ტურნირზე ნ. გაფრინდაშვილმა უპასუხა:

— ბევრმა რამემ. საუცხოო მომზადებამ ტურნირისათვის, კარგმა სპორტულმა ფორმამ, ჩინებულმა სტარტმა, მიხეილ შიშოვის ხელის შეწყობამ და სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობის დიდმა გრძნობამ.

— როდის იგრძენი, რომ პირველ ადგილს იღებ?

— საბოლოოდ გამარჯვებაში დავრწმუნდი ვერა ნედელკოვიჩთან პარტიის შემდეგ. მანამდე კი მილუნკა ლაზარევიჩთან პარტიის მოგებით ვიგრძენი, რომ პირველი ადგილისათვის გამეხსნა გზა.

შეკითხვაზე თავისი რომელი პარტიები მიაჩნია ყველაზე უკეთესად — ნ. გაფრინდაშვილმა უპასუხა:

— მე მომწონს რამდენიმე პარტია. პირველ რიგში უნდა დავასახელო პარტია მ. ლაზარევიჩთან. იგი საინტერესოა არა მხოლოდ თავისი უაღრესად დიდი მნიშვნელობით, არამედ შემოქმედებითაც. მასში მე ჩავაქსოვე მთელი ჩემი ცოდნა, მიზანსწრაფვა, სიყვარული ჭადრაკისადმი. კომბინაცია, რომელიც განვახორციელე პარტიაში, მოეწონათ გროსმაისტერებს ბონდარევსკის, ბოლესლავსკის, ოსტატებს შიშოვს, კონსტანტინოპოლსკის. ჩემთვის ეს დიდი შეფასება იყო. კარგ პარტიად მიმაჩნია ვ. ბორისენკოსთან შეხვედრა. აქაც კომბინაციური იერიშით მივაღწიე გამარჯვებას.

ხურათზე: შეხვედრა ნონა გაფრინდაშვილთან თბილისის ვაგზალზე.
ფოტო ვლ. გინზბურგისა.

შეკითხვაზე როგორ უყურებს იგი მატჩს ე. ბიკოვასთან ნ. გაფრინდაშვილმა უპასუხა:

— მე ბედნიერი ვარ, რომ პირისპირ შევხვდები მსოფლიოში ყველაზე ძლიერ მოჭადრაკე ქალს. ვიცი, გვექნება შეუპოვარი შეხვედრები. როგორ წარიმართებიან ისინი, ამის გამოცნობა არ შემიძლია. მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული მსოფლიოს ჩემპიონი „კბილებამდე“ შეიარაღებული დამხვდება. რასაკვირველია, მეც მოვემზადები საფუძვლიანად. ამისათვის საკმაო დრო მაქვს.

ამის შემდეგ ნ. გაფრინდაშვილმა თქვა:

— ტურნირის დამთავრების შემდეგ ვრნიაჩკა-ბანიაში ბევრი მისალოცი დეპეშა მივიღე. საქართველოში შემოსვლისთანვე ვიგრძენი თანამემამულეთა სითბო და პატივისცემა. ყველა კეთილმოსურნეს უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

ჩვენი ჭადრაკის სიამაყე

ნონა გაფრინდაშვილი. ეს სახელი დღეს ბევრისათვის ნაცნობი, მახლობელი გახდა. 20 წლის თბილისელმა სტუდენტმა გვასახელა მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტთა ტურნირზე იუგოსლავიაში. მან ევროპის, აზიისა და ამერიკის უძლიერეს მოჭადრაკეთა შერკინებაში დამსახურებულად მოიპოვა პირველი ადგილი. ამ გამარჯვებას კიდევ უფრო ამშვენებს, რომ ნონამ დაუმარცხებლად განვლო ცნელი ტურნირი. მაგრამ მთავარი მაინც ერთია — ნონა გაფრინდაშვილმა მოიპოვა უფლება შეეცილოს ელისაბედ ბიკოვას მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინში.

ნიჭიერი ოსტატის წარმატებამ აალაპარაკა საჭადრაკო სამყარო. ახლა ჭადრაკის სპეციალისტები მეტი დაკვირვებით ეცნობიან ქართველი მოჭადრაკე ქალის შემოქმედებას, მის სპორტულ ბრძოლას და აღიარებენ ნ. გაფრინდაშვილის უბადლო ნიჭს. ზოგიერთი იუგოსლავიელი მიმომხილველი ნონას ბუნებრივ მონაცემებს მსოფლიოს პირველი ჩემპიონის ჩეხი მოჭადრაკის ვერა მენჩიკის (1906–1944 წ. წ.) ტალანტს ადარებს. ტყუილად როდი ამბობს გროსმაისტერი ს. ფლორი, ნონა გაფრინდაშვილი მეორე ვერა მენჩიკი იქნებაო. ამას ცნობილი გროსმაისტერი, საკუთარი გამოცდილების მიხედვით ამბობს. მას ვერა მენჩიკი სამჯერ შეხვდა დიდ საერთაშორისო ტურნირებში და სამივე პარტია ყაიმით დამთავრდა...

ის, რაც შეძლო ნონა გაფრინდაშვილმა 20 წლის ასაკში, დიდი ამბავია მსოფლიოს მოჭადრაკე ქალთა ტურნირების ისტორიაში, მართლაც ვერა მენჩიკის შემდეგ არც ერთ მოჭადრაკე ქალს ამ ასაკში არ მიუღწევია ასეთი წარმატებისათვის.

ტურნირის მონაწილეთა შორის ყველაზე ახალგაზრდა ნონა იყო. იგი უფროს კოლეგებს „უპატივცემლოდ“ მოეცა, ხელიდან გამოაცალა ის, რაზეც ისინი ათეული წლების განმავლობაში ოცნებობდნენ, — უფლება ეთამაშნათ მატჩი მსოფლიოს ჩემპიონობაზე.

ახლა დღის წესრიგში დგას ე. ბიკოვასა და ნ. გაფრინდაშვილის მატჩი. მას ყველა მოუთმენლად ელის. ეს იქნება საბჭოთა საჭადრაკო სკოლის ორი თაობის წარმომადგენელთა პრინციპული ბრძოლა, ორი საწინააღმდეგო საჭადრაკო მიმართულების — პოზიციურ და კომბინაციურ შეხედულებათა ჭიდილი.

პროგნოზების მოყვარულნი უკვე დავობენ მეტოქეთა შანსებზე მომავალ მატჩში. ობიექტურად განწყობილნი ფიქრობენ, რომ ნაჩქარევია იმის თქმა, თუ ვინ გაიმარჯვებს. მხოლოდ მატჩის პირველი პარტიები გვეტყვის, როგორ გადაწყდება ჩემპიონობის ბედი. მანამდე კი უნდა ვთქვათ, რომ ორივე მეტოქეს სხვადასხვა უპირატესობა აქვს. ე. ბიკოვას — სამატჩო ბრძოლების მდიდარი გამოცდილება, ნ. გაფრინდაშვილს — ახალგაზრდული ენერგია და შემართება, აგრეთვე კომბინაციური თამაშის ნიჭი. ი. ფლორი, ნონა გაფრინდაშვილი ბევრ ადგილზე ამბობს: დაე გაიმარჯვოს უძლიერესმა!

ნონა გაფრინდაშვილის გამარჯვებას სიხარულით შეხვდა საჭადრაკო სამყაროს ჭადრაკის მესვეურნი და მოყვარულები. მათ თვალწინ გაიზარდა პატარა ნონა, რომელმაც ხუთი წლის მანძილზე განვლო დიდი და სასახელო გზა თბილისის ჩემპიონიდან მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტამდე. ამით ნიჭიერმა ქართველმა ქალიშვილმა კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა ქართული ჭადრაკის ისტორიაში.

ძველად საქართველოში ჭადრაკი დიდად პოპულარული იყო. მას ქალებიც თამაშობდნენ. ამიტომ როდია შემთხვევითი, რომ მეფე ვახტანგ VI თავის ქალიშვილს თეკლეს „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად მზითევში გაატანა ჭადრაკი, როგორც მისი გონებაგახსნილობისა და განათლების დამადასტურებელი. ასეთი რამ XVII საუკუნის ქართულ საზოგადოებაში წესად იყო დამკვიდრებული.

მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ შესაძლებელი გახდა ქართველი ქალის ნიჭიერების სრული გამოვლინება ცოდნის მრავალ დარგში, მათ შორის ჭადრაკშიც. დღეს საბჭოთა სინამდვილეში ვხედავთ რა ნაყოფი მოგვიტანა ამან. საქართველოს ნონა გაფრინდაშვილის გარდა კიდევ ჰყავს საერთაშორისო საჭადრაკო სარბიელზე ცნობილი ოსტატები მანანა ტოგონიძე და ელისო კაკაბაძე.

დღეს ჩვენი ქვეყანა მიესალმება პრეტენდენტთა ტურნირის გმირს ნ. გაფრინდაშვილს, რომელმაც ახალი დიდებით შემოსა საბჭოთა ჭადრაკი.

თ. ნინოშვილი.



ნონა გაფრინდაშვილი იუგოსლავიაში ტურნირისაგან თავისუფალ დროს.

დიდი ტალანტი

საუბარი იუგოსლავიაში საბჭოთა მოჭადრაკეების დელეგაციის ხელმძღვანელთან გროსმაისტერ

ი. გონდარევსკისთან

მსოფლიოს პირველობის პრეტენდენტთა ტურნირში საბჭოთა მოჭადრაკეებმა ახალი, საგულისხმო გამარჯვება მოიპოვეს. მათ კიდევ ერთხელ ცხადყვეს საბჭოთა საჭადრაკო სკოლის უპირატესობა.

ნონა გაფრინდაშვილი მსოფლიოს ჩემპიონის სახელის ღირსეული პრეტენდენტია. ე. ბიკოვას საქმე ექნება დიდი ტალანტის, შრომისმოყვარე და ჭეშმარიტად მებრძოლ ქალიშვილთან. ეს იციან მსოფლიოს ჩემპიონმა და ეჭვი არ მეპარება საგულდაგულოდ მოემზადება ორთაბრძოლისათვის.

ბევრი ადარებს ნონას მსოფლიოს ჩემპიონ ვერა მენჩიკს. არ მინდა ვინმეს შევადარო იგი. დღეს სხვა დროა. საგრძნობლად გაიზარდა მოჭადრაკე ქალთა თამაშის დონე, გამახვილდა ბრძოლა ქალთა ტურნირებში, მომზადებაც მეცნიერული მეთოდიკის სიმაღლეზეა აყვანილი. ამ პირობებში კი ნონა გაფრინდაშვილი ამყარებს უჩვეულო ნიჭს. ამიტომ, ჩემის აზრით, იგი თავისი ბუნებრივი მონაცემებით ვერა მენჩიკზე მეტია. მისი მომავალიც ნათელია. მაგრამ მსოფლიო ჩემპიონის სახელის მისაღწევად, რასთანაც იგი ძალზე ახლოა, მას მართებს უდიდესი, დაუღალელი, სისტემატური შრომა საჭადრაკო სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებზე. მჯერა, რომ ნონა არ დაიშურებს ენერგიასა და მონდომებას მომზადებული ჩაებას დიდ საჭადრაკო შეკრებებში.

„მიგაბიბინა ... მოველოდი“

სტუმრად ე. ბიკოვასთან

მსოფლიო ჩემპიონმა თავაზიანად მიგვიღო. მიგვიპატიჟა თავის სამუშაო კაბინეტში, რომელშიც სიმყუდროე სუფევდა.

— მომილოცავს ნონას დიდი წარმატება, — დამასწრო მან. ყოჩაღ, გოგონი, მე ამას მოველოდი, მაგრამ არა ასე მალე.

ამაზე გამეღიმა. იდრეც გამიგონია ელისაბედ ივანეს ასულისაგან ნონა გაფრინდაშვილის ქება. მაგრამ ახლა მას სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა.

— აი, ნახეთ რას აკეთებს მსოფლიოს ჩემპიონი, — მითხრა მასპინძელმა და მიმითითა საწერ მაგიდაზე დალაგებულ წიგნებზე, ხელნაწერებზე, ფოტო-პირებზე. — უკვე რამდენიმე წელია ვამზადებ დიდ შრომას მსოფლიოში ქალთა საჭადრაკო მოძრაობის შესახებ, ბევრი ისეთი შეკვრიბე, რასაც არ უნახავს დღის სინათლე.

ავდექი და თვალი გადავავლე ნამუშევარს. მართლაც, კოლოსალური მუშაობა ჩაუტარებია სიძველეთა შესწავლაზე.

— მე ძალიან მაინტერესებს ქართველი ქალების სიახლოვე ჭადრაკთან, — განაგრძო მსოფლიოს ჩემპიონმა, რომელსაც ვამჩნევდი საუბრით გართობას. — მაქვს ცნობები ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულების ეკატერინასა და ნინოს ჭადრაკით გატაცების შესახებ. მაგრამ ეს ცოტაა. ბევრის მთქმელია ის წესი, რომელიც თქვენში ყოფილა გავრცელებული ძველად — მზითევში ჭადრაკის გატანება.

მომეწონა და მესიამოვნა ე. ბიკოვასგან ასეთი ამბების გაგონება. მაგრამ ჩემი სტუმრობის მიზანი სხვა იყო. ამიტომ ფრთხილად გადავიყვანე საუბარი პრეტენდენტთა ტურნირის შედეგებზე.

— ვიცი, გინდათ გაგოთ, როგორ ვემზადები, როგორ ვაფასებ ტურნირის შედეგებს, — თქვა მსოფლიო ჩემპიონმა და განაგრძო, — მზადება არ დამიწყია. ჯერ მწვრთნელი არ მყავს. ძველმა კი უარი მითხრა. ვინ იქნება ახალი, ჯერ-ჯერობით არ ვიცი. რაც შეეხება შედეგებს, გამოგიტყდებით: მეგონა პირველი იქნებოდა ბორისენკო, რადგან იგი მიმაჩნდა ყველაზე უკეთ მომზადებული. ამის შესახებ ნონასთვისაც მაქვს ნათქვამი. მაგრამ ნონას გამარჯვება სასიამოვნოა, რადგან იგი საბჭოთა საჭადრაკო სკოლის ნამდვილად ამომავალი ვარსკვლავია. მასთან თამაში საინტერესო იქნება.

სხვათა შორის ჰოლანდიაში ყოფნის დროს მ. ლაზარევიჩმა მკითხა, როგორ თამაშობს ნონაო, რაკი გაგონილი ჰქონდა მისი გამარჯვებების ამბავი თბილისის საერთაშორისო ტურნირებზე. ვუპასუხე: ნონა ქალებში მიხეილ ტალია. მგონი არ შევმცდარვარ. ნონას იუგოსლავიაში ტალზე ნაკლებად არ უთამაშნია.

დასასრულ მსოფლიო ჩემპიონმა გამოთქვა რწმენა, რომ მისი მატჩი ნონა გაფრინდაშვილთან არ იქნება უინტერესო.

თ. გიორგაძე.

„კომუნისტის“ სპეც. კორ.
მოსკოვი.

მომავალი გრძოლის ფართო ჰორიზონტი

ბრსებული წესის მიხედვით ე. ბიკოვა-ნ. გაფრინდაშვილის მატჩში უნდა გათამაშდეს 16 პარტია. ის ვინც ადრე დააგროვებს 8,5 ქულას, გამოცხადდება გამარჯვებულად, ხოლო მატჩი შეწყდება. ე. ბიკოვას მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის შესანარჩუნებლად კმარა ყაიმით დამთავროს ორთაბრძოლა. ე. ბიკოვას დამარცხების შემთხვევაში არ გაიმართება მატჩ-რევანში, რომელიც ამას წინათ გააუქმა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ ვაუთათვისაც.

მსოფლიოს პირველობაზე ე. ბიკოვა-ნ. გაფრინდაშვილის მატჩის ჩატარება დავალებული აქვს საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ფედერაციას. ფედერაციამ უკვე შეიმუშავა მატჩის პირობები, რომლებსაც შეათანხმებს მსოფლიოს ჩემპიონსა და პრეტენდენტს.

მატჩის ჩატარება ნავარაუდევია მოსკოვში, როგორც ეს ადრეც ხდებოდა. იმის გამო, რომ მსოფლიოს პირველობის დებულებით მატჩის დანიშვნა არ შეიძლება პრეტენდენტთა ტურნირის დამთავრებიდან ექვს თვეზე ადრე, ე. ბიკოვა-ნ. გაფრინდაშვილის ორთაბრძოლა დაგეგმილია სექტემბერ-ოქტომბერში, რადგან ზაფხულის მცხუნვარე თვეებში მატჩის ჩატარება არ არის მიზანშეწონილი. მატჩის პირველი პარტია შედგება 15 სექტემბერს. კვირაში მეტოქეები გაითამაშებენ მხოლოდ სამ პარტიას. ყოველი პარტიის შემდეგ ექნებათ გადადებული პარტიის დამთავრება თუ იქნა იგი, თუ არა, მაშინ ეს დღე გამოცხადდება დასვენების დღედ. ყოველ მეშვიდე დღეს მეტოქეები დაისვენებენ.

მატჩს ეყოლება ერთი უცხოელი არბიტრი, რომლის კანდიდატურას ფედერაცია შეათანხმებს მსოფლიოს ჩემპიონსა და პრეტენდენტს. მეორე მსაჯი (არბიტრის მოადგილე) იქნება საბჭოთა კავშირიდან.

მატჩის დროს მეტოქეებს უფლება აქვთ იყოლიონ მხოლოდ თითო სეკუნდანტი, რომელიც გაარჩევინებს მათ გადადებულ პარტიას და იქნება ოფიციალური წარმომადგენელი. პარტიის წინ კი თვითეულ მეტოქეს შეუძლია ჰყავდეს დამხმარეთა ნებისმიერი რაოდენობა.

მსოფლიოს პირველობაზე მატჩის წინ მეტოქეებმა უნდა დასდონ ხელშეკრულება თამაშის პირობების, წესების შესახებ. ე. ბიკოვას უფლება აქვს პირველ მაისამდე არ განაცხადოს თანხმობა მატჩის თამაშზე.

თუ ე. ბიკოვამ არ მოისურვა მატჩში მონაწილეობა, მაშინ საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის წესების მიხედვით მსოფლიო პირველობაზე მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან პრეტენდენტთა ტურნირში გამარჯვებულნი ნ. გაფრინდაშვილი და ვ. ბორისენკო.

ე. ბიკოვა ან ნ. გაფრინდაშვილი დამარცხების შემთხვევაში პერსონალურად, ისე როგორც ვ. ბორისენკო და კ. ზვორიკინა, მიწვეული იქნებიან პრეტენდენტთა 1964 წლის ტურნირში.

რეპორტაჟი სასამართლო დარბაზიდან

იატაკქვეშელ მილიონერთა აღსასრული

სამი დღეა გრძელდება „შავ ბაზარზე“ ოქროთი მოვაჭრეთა გასამართლება...

სასამართლოს წინაშე წარსდგა ვალუტის მყიდველთა და გადამყიდველთა ჯგუფი, რომელთა შესახებ ჩვენი გაზეთი ადრეც წერდა.

აი ისინი:

მ. კაკიაშვილი, დ. კაცოშვილი, ნ. გოგიშვილი, მ. ნანბაზიაშვილი, ბ. მიხელაშვილი, ს. ხანანაშვილი.

ოქროს თაყვანისმცემლებს ასამართლებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისლის სამართლის კოლეგია დ. ბაღათურიას თავმჯდომარეობით. ბრალდებას მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალმდებელი, საქართველოს სსრ პროკურორი პ. ბერძენიშვილი.

ნომერი პირველი ბრალდებული კაკიაშვილი, 52 წლისა, წერა-კითხვის მცოდნე, ქალაქ თბილისის მცხოვრები. იგი ნიანგის ცრემლებს აფრქვევს, მის მეხსიერებაში თანდათანობით „ამოტივტივდნენ“ წინათ „დავიწყებული“ ფაქტები.

კაკიაშვილი არ უარყოფს ვალუტით ვაჭრობას. მხოლოდ ზოგიერთი რამ აქვს სადავო მოწმეებთან და გამოძიების მასალებთან.

ცოცხლდება შეხვედრები, მოლაპარაკება, ოქროსა და ვალუტის მიღებისა და გადაცემის, ანგარიშსწორების ფაქტები...

მოსკოვის, ლენინგრადის, რიგის „შავი ბაზრის“ ბატონპატრონები და საიმედო მაკლერები ერთიანად გამოაშკარავდნენ.

საქართველოს სსრ პროკურორი პ. ბერძენიშვილი: — ბრალდებული კაკიაშვილო, იცოდით თუ არა თქვენ, რომ ვალუტით ვაჭრობა სახელმწიფოსათვის განსაკუთრებულად საშიში დანაშაულია?

ი. კაკიაშვილი: (მხრებს იჩჩს და ცრემლად იღვრება) — ოჯახი... სახლი... კარი...,

ბრალდებულები ცალიან ერთმანეთს, გოგიშვილი, იგივე გოგიანცი, კაკიაშვილისა და ნანბაზიაშვილის მეკრიკი, საგალუტო კარიგების ხელოსანი „ჩოჯა-კოლა“ თავს ამაყად ვეღარ გრძნობს.

დაიკითხა ვალუტით ვაჭრობისათვის ადრე ნასამართლევი მ. მიხელაშვილი, მ. ნანბაზიაშვილი, დ. კაცოშვილი, ს. ხანანაშვილი.

„ცოდვათა განკითხვის ქამს“ თვითეული მათგანი ცდილობს კრავად დასახოს თავისი თავი.

სასამართლოს წინ წარსდგა რ. ალტშულერი. ეს კაცი დიდი მონდომებით იგონებს წარსულს ყოველ წვრილმანს, ყოველ დეტალს.

ეს ის ალტშულერი გახლავთ, რომელიც ლენინგრადის საადგურში ბილიციამ ხუთი თუმნის ქურდობის დაბრალების გამო მიიყვანა.

ალტშულერი არ აღმოჩნდა ხუთი თუმნის ქურდი, მის ჩემოდანში, რომელიც 236 ათასი მანეთი იყო, არ აღმოჩნდა ხუთთუმნიანი, სამაგიეროდ აღმოჩნდა სხვა რამ... საქმრისნების დიდი ჯგუფი, ვალუტის მოვაჭრეები, სპეკულანტები.

ალტშულერი კაკიაშვილის უერთგულესი შიკრიკი იყო. მან შაპიროსაგან მოიტანა ოქროს ფული, სტერლინგები, ოქროს სათუთუნეები, რომელთაგან თვითეული 250 გრამს იწონის.

ალტშულერმა კაკიაშვილის ასეულათასობით მანეთი აბრუნა და, როგორც თვითონ ამბობს, მხოლოდ 60 ათასი მანეთი ისარგებლა.

ალტშულერმა კაკიაშვილისათვის მოსკოვში გლაზერისაგან 210.000 მანეთად იყიდა დოლარები და ოქროს ფული.

რიგაში იოზერმანისაგან 980 დოლარი, 22 მეფისდროინდელი ფული, 4 პოლონური ოქროს მონეტა, რაშიც ათასობით მანეთი გადაიხადა.

ლენინგრადელებმა ნ. ბლუსკერმა და ლ. ტრუბნიკოვმა დაწვრილებით უამბეს სასამართლოს თავიანთი ბნელი გარიგებების შესახებ, კაპლუნისა და შაპიროს კავშირის შესახებ საქართველოს „საქმოსნების“ ცენტრთან.

საინტერესოა ს. ხანანაშვილის პორტრეტი. იგი 70 წელს გადაბიჯებული, ჩუმი, შემპარავი ხმა აქვს. საწყალ, ბეჩავ და ავადმყოფ კაცს უწოდებს თავის თავს. ხანანაშვილი შეიძლება მართლაც იყოს ავადმყოფი, მაგრამ ამაოდ ცდილობს დამტკიცოს, რომ აურომიცინი, რომელიც მას დაპატიმრებისას აღმოაჩნდა, თავისთვის სპირდებოდა და არა სასპეკულაციოდ. ამ საწყალმა სოლომონ, იგივე ბუხუტი ხანანაშვილმა სომხეთიდან ჩამოსულ ერთ „საქმოსანს“ მიჰყიდა ერთი კილოგრამი პლატინა და 60 გირვანქა სტერლინგი;

...ოქროს თაყვანისმცემლები რიგრიგობით ჰყვებიან „ბნელ საქმეთა“ ამბავს.

სასამართლო პროცესი გრძელდება.

რ. დვალიშვილი.

კოლოსალური წარმატება

ვრნიაჩკა-ბანიას პრეტენდენტთა ტურნირში წარმოდგენილი იყვნენ თანამედროვე საჭადრაკო სამყაროს თვალსაჩინო ძალები — ევროპის, ამერიკისა და აზიის უძლიერესი მოჭადრაკე ქალები. ყოველ მათგანს ჰქონდა პრეტენდენტობის საფუძვლიანი პრეტენზიები. ამიტომაც ნონა გაფრინდაშვილის პირველი ადგილი, ისიც დაუმარცხებლად, კოლოსალური წარმატებაა. საერთოდ კი მისი გამარჯვებები საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე ბოლო ორი წლის მანძილზე არაფერით არ ჩამოუვარდება მ. ბოტვინიკთან მატჩში მიხეილ ტალის მიღწევებს.

ნონა გაფრინდაშვილის მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტობა არ არის შემთხვევითი. მან დიდი მუშაობა გასწია თავის მწვრთნელ მიხეილ შიშოვთან ერთად. მთელი ზაფხულის განმავლობაში გადიოდა წვრთნას მოსკოვის მახლობელ კურორტზე პრეტენდენტთა ტურნირის სხვა მონაწილე საბჭოთა მოჭადრაკეებთან ერთად. მაშინ მომხიბლა ნონამ თავისი თავაზიანობით, ობიექტურობით, მუყაითობით, ხოლო გამოაცა დიდი მოჭადრაკის ნიჭით.

პრეტენდენტთა ტურნირზე ნონა გაფრინდაშვილი გამოირჩეოდა დისციპლინით, თავდაჭერილობით, სერიოზული მიდგომით ბრძოლისადმი. მისი მთავარი ლოზუნგი იყო შეუდრეკელი კომბინაციური ხედვა, ალღო და სწრაფი რეაქცია მეტოქეთა მუქარებზე. სპორტული მებრძოლის მომზიბლავ სულისკვეთებასთან ერთად ნონა წარმოგვიდგა კარგ შემოქმედთაც. მისი პარტიები მ. ლაზარევიჩთან, ვ. ბორისენკოსთან, ა. ნიკოლაუსთან შემოიტანეს სახელოვნური ფერადოვნება, ორიგინალურ მსოფლიოს საჭადრაკო პრესას. მაგრამ შევამჩნიეთ ნონას თამაშში ხარვეზებიც. იგი მოისუსტებს, მაგალითად, სტრატეგიული პოზიციების თამაშში. ამას იმიტომ ვახსენებ, რომ ნონას წინ ელის დიდი მატჩი მსოფლიო ჩემპიონთან.

ნონა გაფრინდაშვილის გამარჯვებამ სიხარული მოუტანა საბჭოთა მოჭადრაკეებს, საქართველოს სპორტსმენებს. ამისათვის „პატარა“ ნონა იმსახურებს მათ მადლობას.

ა. კონსტანტინოპოლსკი,

იუგოსლავიაში საბჭოთა მოჭადრაკეთა დელეგაციის მთავარი მწვრთნელი.

ეტიუდი

გ. ნადარეიშვილი

ეძღვნება ნონა გაფრინდაშვილს



a b c d e f g h

თეთრები იწყებენ და იგებენ

დიდი საჭადრაკო წელი

საბჭოთა საჭადრაკო სკოლამ 1961 წელს კვლავ ცხადყო თავისი ძალა საერთაშორისო შეჯიბრებებში. დიდი ტურნირები ბლედში, ბუდაპეშტში, ვენაში, ვარშავაში და ბელგრადში საბჭოთა გროსმაისტერების ტალის, კორჩნოის, ავერბახის, ტოლუშისა და ვასიუკოვის გამარჯვებით დამთავრდა. ევროპის გუნდურ პირველობაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა გუნდმა.

იუგოსლავიაში გამართულ ქალთა ტურნირში გაიმარჯვა ახალგაზრდა ქართველმა სტუდენტმა ნ. გაფრინდაშვილმა. მან აჩვენა ბრწყინვალე თამაში.

გაფრინდაშვილის წარმატება მოწმობს საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის კარგ მუშაობას. უკანასკნელ წლებში ჩვენ კარგი შევსება მივიღეთ მოჭადრაკე ქალთა რიგებში ე. კაკაბაძისა და მ. ტოგონიძის სახით.

რა არის საინტერესო 1962 წლის საჭადრაკო შეჯიბრებათა გეგმაში?

ვაჟთა მსოფლიო პირველობაში გაიმართება ორი უკანასკნელი სტადია მსოფლიოს ჩემპიონის წოდების პრეტენდენტის გამოსავლინებლად. იანვრის დამლევს უნდა დაიწყოს საზონთაშორისო ტურნირი. ექვსი გამარჯვებული მონაწილეობას მიიღებს კანდიდატთა ტურნირში გროსმაისტერებთან ტალთან და კერესთან ერთად.

კანდიდატთა ტურნირი გაიხსნება 1 მაისს ქალაქ კიეროსაოში მცირე ანტილის კუნძულებზე.

შემოდგომაზე საჭადრაკო სამყაროს ყურადღება მიპყრობილი იქნება მსოფლიოს პირველობის მატჩზე მსოფლიოს ჩემპიონ ე. ბიკოვასა და ამ მაღალი წოდების პრეტენდენტ ნ. გაფრინდაშვილს შორის. ჩვენ, მივვიჩნია, რომ თავისი შინაარსით ეს მატჩი ძალიან ემსგავსება წარსულ მატჩ-შეჯიბრებას ბოტვინიკსა და ტალს შორის. ცხადია, რომ ახალგაზრდა ქართველი მოჭადრაკე ქალი გაითვალისწინებს განვლილი ორი მატჩის მთელ გამოცდილებას. ერთი რამ აშკარაა — მარტო ახალგაზრდული სიმკვირცხლითა და გამბედაობით გამარჯვება არ შეიძლება. გამარჯვების მოსაპოვებლად საჭიროა დიდი შრომა და თავისთავზე სისტემატური მუშაობა. არ უნდა დავგვიწყდეს, რომ ნიჭს აუცილებლად უნდა ახლდეს მუშაობის უნარი და დისციპლინა. ვფიქრობთ, მაღალნიჭიერი მოჭადრაკე ქალი ნონა გაფრინდაშვილი ამას გაითვალისწინებს.

ვ. ვინოგრადოვი,

სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

გ. სპასკი

ინარჩენებს ლიდერობას

ბაკო. 8 დეკემბერი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). დაიწყო საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის მეორე ნახევარი. დღეს შედგა მე-11 ტური.

ყურადღების ცენტრში იდგა სპასკისა და გურგენიძის პარტია. გურგენიძემ თეორებით დებიუტიდან უკეთესი პოზიცია მიიღო, მაგრამ შემდეგ დაუშვა არასიზუსტე და გაიუარესა მდგომარეობა. პარტია არ დამთავრებულა. მიუხედავად იმისა, რომ გურგენიძეს გადადებულ პოზიციაში აქვს მატერიალური უპირატესობა, პოზიცია ისეთია, რომ მან უნდა იზრუნოს ყაიმისათვის.

კერესი წარმატებით იბრძოდა შიანოვსკის წინააღმდეგ და გაიმარჯვა. პოლუგაევსკიმ მოუგო ვლადიმიროვს. ბრონშტეინ-ტამკოვიჩის, ლეინ-ტაიმანოვის, გიპლოს-ვასიუკოვისა და ნეიშტადინოვ-ხასინის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ტალისა და ხოლმოვის პარტიაში ხოლმოვს ზედმეტი პაიკი აქვს. ავერბახი უგებს სავონს. სმისლოვ-ბაგიროვის პარტიაში პოზიცია რთულია.

თერთმეტი ტურის შემდეგ სპასკის 7,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, შამკოვიჩს — 7 ქულა, ხოლმოვს — 6,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, კერესს და პოლუგაევსკის — ექვს-ექვსი ქულა.

ხვალ შედგება მე-12 ტური.

რედაქტორის მოადგილე
გ. ვარდოსანიძე.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

აცხადებს დაუწყებელი სწავლების ფაკულტეტებზე 1961-1962 სასწავლო წელს სტუდენტთა მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში

(ქ. თბილისი, ჭავჭავაძის პროსპექტი № 29)

1. აგრონომიული (ქართულ და რუსულ სექტორებზე), 2. მეხილეობა-მებოსტნეობა, მევენახეობა, 3. მცენარეთა დაცვა, 4. სატყეო-სამეურნეო (ქართულ და რუსულ სექტორებზე), 5. სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაცია, 6. სოციალისტური სოფლის მეურნეობის ეკონომიკა-ორგანიზაცია. 7. საბუხჰალტრო აღრიცხვა, 8. ყურძნისა და ხილბოსტნეულის ტექნოლოგია, 9. მეაბრეშუმეობა.

საქართველოს ზოოტექნიკურ-საცხენაბრო სასწავლო-საკვლევ ინსტიტუტში (თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 13)

1. ზოოტექნიკური (ქართულ და რუსულ სექტორებზე), 2. სავეტერინარო (ქართულ და რუსულ სექტორებზე).

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი

(ქ. სოხუმი — კელასური)

1. სუბტროპიკული მეურნეობა, 2. სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგია, 3. სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაცია,

ინსტიტუტში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ ყველა ფაკულტეტისა და სპეციალობისათვის საერთო დისციპლინებში:

1. ქართული ენა და ლიტერატურა (თხზულება), 2. რუსული ენა და ლიტერატურა (ზეპირი).

გარდა ამისა, ინსტიტუტში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ არჩეული სპეციალობის მიხედვით შემდეგ მაპროფილირებელ დისციპლინებში.

სპეციალობებზე: აგრონომია, მცენარეთა დაცვა, მეხილეობა-მებოსტნეობა და მევენახეობა, მეაბრეშუმეობა, სოციალისტური სოფლის მეურნეობის ეკონომიკა-ორგანიზაცია, საბუხჰალტრო აღრიცხვა:

1. ფიზიკაში (ზეპირი), 2. ქიმიაში (ზეპირი).

სპეციალობებზე: სატყეო-სამეურნეო და სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაცია: 1. მათემატიკაში (წერა და ზეპირი), 2. ფიზიკაში (ზეპირი).

სპეციალობებზე: ყურძნის, ხილბოსტნეულის და სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგია: 1. მათემატიკაში (ზეპირი), 2. ფიზიკაში (ზეპირი), 3. ქიმიაში (ზეპირი).

ინსტიტუტში შემსვლელმა პირებმა განცხადებას დირექტორის სახელზე უნდა დაურთონ შემდეგი საბუთები: 1. ავტობიოგრაფია, 2.